



გაზეთი გაეოღის
1930 წლის
5 ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

მაცნე

სამბრაღიის

N3 (9219)

31 იანვარი, 2017 წელი

ფასი 50 თეთრი



3

სამსხურიაში მოთოვა



2

ბიურო მუშაობას შეუდგა სიყვითე გაცემებზე!

გაზელების საქმეს ბოლომდე მივყვები

ჩემი სარკელიდან დანახული ღვთის სახლი და ჩემი ქალაქი

“მე ამ ფურცელზე
ვისუფთავებ მეციურ
ტალახს”

7



თავისუფალი
სტილით
მოჭიდავე
ივარი
ჯულაყიკე
სამართველოს
ჩემპიონი

ნიგნა უნდა დაგბურკლოს,
შეგბრას, ლამე არ უნდა
დაგაქინოს...

იყო ღრო, ბოქერიასა და
თარგამაქეს გვაყვადრიდნენ

5

4 ყურადღებზე, ვიანოთი თქვითხიროვრა!

ცნობიანი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნა

სიყვითე გაცემების!

6064 ნანატარობი

ინფორმაციას, რომელიც ჩვენი გაზეთის მკითხველს გვინდა, მივაწოდოთ, "სამტრედიის მაცნე" მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებსა და სოციალური დაცვის სამსახურში ერთ-ერთი სტუმრობისას შემთხვევით მიაგვლია.

სიყვითე გადადგება – ჩვენ გვჯერა ამის. იმედს ვიტოვებთ, კონკრეტული პიროვნების კონკრეტულ ინიციატივას მიმდევრები მომავალშიც გამოუჩნდებიან. საქმე ეხება ქველმოქმედებას, რომელსაც გრიგოლ მიქელაძე 4 წლის განმავლობაში გასწევს. ეს უკანასკნელი დარეჯან ქავთარას, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტის, რეპლიკაში დაეჭირეთ: "დეპუტატი თავის ხელფასს არ იღებს და მას აძლევს გაჭირვებულ ოჯახებს".

გაირკვა, რომ წინასასაზღვროდ გრიგოლ მიქელაძემ სამტრედიაში რამდენიმე ოჯახი გააბედნიერა. საქართველოს პარლამენტში სამტრედიის მაჟორიტარმა დეპუტატმა პირველი ხელფასი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გადასცა, რომლებიც მხოლოდ პენსიას იღებდნენ და რომელთა ოჯახები არ სარგებლობენ სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა სტატუსით. დარეჯან ქავთარია "სამტრედიის მაცნესთან" მათ შესახებ საუბრობს:



"ესენი არიან: საჯავახოს თემში შშმ პირი ოთარ ელიაძე, გომში და-ძმა ლაშა და ლოლა ნადირაძეები, ცოტნე ჩინაშვილის მრავალშვილიანი ოჯახი დანირიდან, ლუკა ნინუა ნაბაკვიანი, ვახტანგ ლოლობერიძე, რომელიც წლების მანძილზე სოციალური მომსახურების სააგენტოში მსახურობდა და დიდ ჯიხაბიშვილი მაია ნუცუბიძე. ეს არის 8 ოჯახი, ამასთან ერთად დღის ცენტრ

"ლამპარის" 4 თანამშრომელია. ძალიან სასიხარულოა, რომ ჩვენი დეპუტატი თავის ხელფასს ამ ადამიანებს უწილადებს".

ზემოჩამოთვლილი პიროვნებების გარდა გრიგოლ მიქელაძემ დააფინანსა რამდენიმე სამტრედიელი ახალგაზრდის სწავლის ღირებულება, რომლებსაც სტუდენტის სტატუსის შეჩერება ემუქრებოდათ.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში მიღებული ინფორმაცია დაგვიდასტურა სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა, თინათინ ხარბიანმა: "ინფორმაცია სინამდვილე გახლავთ, თანხის გადაცემა განხორციელდა 30 და 31 დეკემბერს, რაშიც სოფლებში გამგებლის წარმომადგენლებიც დაგვეხმარნენ, მათ პირადად გადავეცით საქართველოს პარლამენტში სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატის, გრიგოლ მიქელაძის საჩუქარი".

ბიურო მუშაობას შეუდგა

6064 ნანატარობი

დეპუტატმა მოსახლეობასთან შეხვედრები დაიწყო. 2016 წლის 21 ნოემბრიდან საქართველოს პარლამენტში ოფიციალურად დარეგისტრირდა სამტრედიის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის, გრიგოლ მიქელაძის ბიურო, რომელიც რეალურად საქმიანობას 3 იანვრიდან შეუდგა.

ბიუროს შემადგენლობის სრული დაკომპლექტება 2016 წლის 22 დეკემბერს დასრულდა შემდეგი შემადგენლობით: თინათინ ხარბიანი – ბიუროს ხელმძღვანელი, სპეციალისტები – ნანა თურმანიძე, მაკა ჯვარციანი, მაია ნადირაძე და მაია ტალაბაძე.


2017 წლის 26-27 და 28 იანვარს სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატი ამომრჩევლებს უკვე ბიუროში შეხვდა და გაეცნო სამტრედიის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის პრობლემებს. იგი ძირითადად დასაქმების, სოციალურად დაუცველის სტატუსის შეჩერებისა და ჯანდაცვის კუთხით დასაფინანსებელ საკითხებს მოიცავდა.

გრიგოლ მიქელაძემ გულდასმით მოისმინა თითოეული მათგანის პრობლემა და მისი კომპლექტის ფარგლებში დახმარება აღუთქვა.

"სამტრედიის მაცნე" შეხვედრების ბოლოს კომენტარი სთხოვა სამტრედიის მაჟორიტარ დეპუტატს: "ახალი არაფერი მომისმენია. წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურად ვხვდებოდი მოსახლეობას, ვეცნობოდი მათ პრობლემებს, რაც ძირითადად დასაქმებას მოიცავდა. აღნიშნული პრობლემა დღემდე აქტუალურია და გადაუსწვეტელი, რაც რჩება ჩვენს მთავარ ამოცანად, მთავარ პრიორიტეტად. მის დადებითად გადაწყვეტაში გამაჩნია ჩემი ხელის შეწყობა. გამოსავალია, შეიქმნას სამტრედიის მორგებული რამდენიმე საწარმო, სადაც ხალხი დასაქმდება. ვმუშაობ, მოვიხილო ინვესტიციები, ვცდილობ, დავაინტერესო ისინი ჩვენი მუნიციპალიტეტით და მისი ფასეულობებით. მე პირობა მივეცი ჩემს სამტრედიელებს, ერთი წლის შემდეგ მათ შეხვედროდი იმავე თეატრის წინ, სადაც 2016 წლის 6 ოქტომბერს წინასაარჩევნოდ დავდე პირობა, შევასრულებდი იმ დაპირებებს, რაც წინასაარჩევნოდ გავცეცი. აუცილებლად წარვდგები სამტრედიელების წინაშე, თუ რა გაკეთდა ჩემი შუამდგომლობითა და უშუალო ჩარევით".

დეპუტატის ბიურო იმ დღეს ბევრმა ადამიანმა მომავლის რწმენით დატოვა. მათ შორის იყო ახალსოფლიდან დედაშვილი, ინგა ნადირაძე და გიორგი იობიძე.

ინგა ნადირაძე: "ჩემი ვაჟი პროფესიით რეზინგელია, მემანქანის თანამშრომლის სპეციალობით. მამაც რეზინგელი ჰყავს. დღემდე ვერ მოხერხდა მისი დასაქმება. გრიგოლ მიქელაძესთან შეხვედრამ და მასთან გასაუბრებამ იმედი გამიძინა, რომ ჩემი შვილი პროფესიით მალე დასაქმდება".



ბაშელის სამხრეთი ოლქი მიყვება

სამტრედიის მაჟორიტარი პარლამენტის დეპუტატი სოფელ ბაშელში ადგილობრივ მოსახლეობასთან შესახვედრად ჩავიდა. გრიგოლ მიქელაძემ თავდაპირველად ვარციხეძის მე-4 კასკადის მექანიკური წყლის გადამსუფთავების ნაგებობასთან მოისურვა მისვლა და ბაშელის მთავარ პრობლემაში გარკვევის მიზნით რომან ნუცუბიძისგან დაწერილებითი ინფორმაცია მიიღო. ბატონი გრიგოლი დეტალურად გაეცნო არსებულ სიტუაციას და იქვე უმკაცრესი შეფასებები გააკეთა.

მაჟორიტარი პარლამენტის დეპუტატი დაინტერესდა, საერთო თვალთვალს ენახა არხი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებს ჭარბი ატმოსფერული ნალექების გატარებას და სოფელ ბაშის დატბორვას იწვევს.

ბატონმა გრიგოლმა ადგილობრივ მოსახლეობასთან შესახვედრად ის ტერიტორია შეარჩია, რომელიც წყალდიდობის შემდეგ ყველაზე მეტად დაზარალდა. მაჟორიტარ დეპუტატს ბაშელის მთა არ დაუშალავს მისი გაღიზიანების მიზეზი, ძირითადად რის გამოც დააჩქარა დაზარალებულ მოსახლეობასთან შეხვედრა.

"უნახე სატელევიზიო რეპორტაჟი, რომელიც რამდენიმე დღის წინ ეთერში გავიდა და რომელშიც ბაშის პრობლემებზე იყო საუბარი. მოვისმინე ვარციხეძის მე-4 კასკადის დღევანდელი მეპატრონეების მხრიდან სიტუაციის შეფასება და განცხადება, რომ 250 000 ლარს გამოყოფდნენ პრობლემის მოსაგვარებლად. მიმანია, რომ ეს თანხა ბაშელის ვერავითარ შეგებას ვერ მოუტანს. არაფერს მივცემ უფლებას, ჩემს ხალხს დასცინოს. ჩართული ვარ პროცესებში და მინდა, მოსახლეობა დავაიმედო, ბოლომდე მივყვები საქმეს".

6064 ნანატარობი



27.01.2017

თბა გავსაზი

მნიშვნელოვანი ზიანი არ მიუყვება უხვ ნალექს მუნიციპალიტეტისთვის, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, გარკვეული სამუშაოების ჩატარება მაინც გახდა საჭირო ქალაქისა და ზოგიერთი სოფლის ტერიტორიაზე. ბუნებრივიცაა დიდთოვლობისას გზების გაწმენდა და საჭიროების შემთხვევაში ელექტროგადამცემი ბოძების შეკეთება. თუ ქალაქის ტერიტორიაზე თოვლის სიმალღე დაახლოებით 40 სანტიმეტრი იყო, მუნიციპალიტეტის მაღალმთიან, ე. წ. გაღმა ზონაში, კერძოდ, სოფელ თხილაგანში იგი 1 მეტრს აღწევდა.

მას შემდეგ, რაც ოფეთში ვერ ავიდნენ, მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფიცხვარია, გუბერნატორის მოადგილე პაატა ნადრადე და პროექტების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე დავით გორდულაძე გომის თემის ყველაზე მაღალ სოფელ კორმაღალში ადვენებდნენ თვალყურს გზის გაწმენდის სამუშაოებს. ტექნიკა ოფეთის, გამოჩინებულის, ტოლების მიმართულებით მუშაობას მობილიზებულად შეუდგა.

იმერეთის გუბერნატორის მოადგილემ მაღლობა გადაუხადა ადგილობრივ ხელისუფლებას საქმიანი მობილიზაციისთვის: "ხედავთ, რომ უკვე მიმდინარეობს სამუშაოები გზებზე არ-



სამცხეში მოთოვა

სებული შეფერხებების აღმოსაფხვრელად. ცენტრალური საავტომობილო გზა თავისუფალია და მოძრაობა არც შეფერხებულია. რაც შეეხება კიდევ უფრო მაღალ სოფლებს, მაღლობა მუნიციპალიტეტის გამგებობის ხელმძღვანელობას და შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებს პრობლემის ასე სწრაფად მოგვარებისთვის."

მუნიციპალიტეტის გამგებელი საკუთარ დაბადების დღეს სამუშაო პროცესში "აღნიშნავენ", რადგან სამტრედიამ დიდთოვლობით მიულოცა იგი. კორმაღალში მიმდინარე სამუ-

შაობის დათვალეობისას მან განაცხადა, რომ "მაღე ყველა მაღალმთიან სოფელში გზა თავისუფალი იქნება. მოსახლეობა ცენტრს არ მოსწავდება და ჯერჯერობით, უხვი ნალექის გამო, არანაირი შეზღუდვა არ შეეკმნება ჩვეულ საქმიანობაში." ის აუბრა იმაზეც, რომ უკვე ჩამოვიდა და გადაფორმების პროცესშია გრეიდერი, რომელიც ძალიან სჭირდება მუნიციპალიტეტს და აქამდე არასდროს ჰქონია. ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია აკონრეტებს, რომ "გრეიდერი კომუნისტების დროსაც არ იყო რა-

იონში, არადა, იგი ძალიან საჭიროა. ამერიდან ის პრობლემები, მისი არქონა რომ იწვევდა, უმტკივნეულოდ და სწრაფად მოგვარდება." იგი მუნიციპალიტეტმა ადგილობრივი ბიუჯეტიდან 197 ათას ლარად შეიძინა.

დიდა ადგილობრივ ხელისუფლებას, საჭიროების გამო დაუყოვნებლივ შესრულებული სამუშაოებისთვის: "ამჟამად ხუთი სოფლის დამაკავშირებელი გზა გაიწმინდა. მალევე დაიწყება ყველა ჩიხის, სოფლებთან დამაკავშირებელი გზების გაწმენდა, ტექნი-



გამგებლის პირველი მოადგილე დავით ბახტაძე ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ "დაზიანებული ელექტროგადამცემი ბოძებისა და ხაზების გამო პრობლემა არ შექმნია მოსახლეობას, რადგან "ენერჯო-პროჯორჯიას" ბრიგადები დილიდან მუშაობენ დაზიანებების შესაყეთებლად." გამგებლის წარმომადგენელი გომის თემში, ზაზა ნიკოლეიშვილი მოსახლეობის სახელით მაღლობას უხ-

ვა მუშაობს და პრობლემა ჯერჯერობით არავის შექმნია." იმედა, დიდთოვლობა სამტრედიის განსაკუთრებული გართულებების გარეშე ჩაივლის, რადგან შესაბამისი სამსახურები და ადგილობრივი ხელისუფლება მობილიზებულია უამინდობისგან გამოწვეული პრობლემების შეფერხებელი აღმოსაფხვრელად.

ტრენინგი თავისუფალი საჯარო სივრცის შესახებ

6064 ნაწილაზი

"ევროპა საქართველოსთვის" - ამ პროექტის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაცია dcfta, იგივე "კვლევათი ფურნალიტიკის და ადვოკატირების ცენტრი", ღრმა და ყოვლისმომცველი, თავისუფალი საჯარო სივრცის შესახებ ტრენინგებს აწყობს.

ცნობიერების ამაღლების კუთხით ცენტრმა 23 იანვარს სამტრედიის მუნიციპალიტეტში საჯარო მოხელეები და სხვა დაინტერესებული ადამიანები შეკრიბა და ევროკავშირთან გაჭრობის პერსპექტივებზე ინფორმაცია მიაცილა.

ტრენინგი უშუალოდ dcfta-ის ექსპერტ-ანალიტიკოსს მიჰყავდა. მის ორგანიზებაში ასევე მონაწილეობდა ნატალი სალინაშვილი. სამტრედიის მუნიციპალიტეტის

სტანდარტებზე, რაც უკვე საკვლევებულოა ქართველი მეწარმეებისთვის; ასევე წარმატების კონკრეტულ მაგალითებზე: ვინ შეძლო ევროკავშირის ბაზარზე შესვლა.

ხმებასა და საჯარო ეკონომიკურ რეჟიმზე.

ზურაბ მოდებაძე, dcfta-ის ექსპერტ-ანალიტიკოსი: "პირველ რიგში, ჩვენ გვაქვს საინფორმაციო ხასიათის შეზღუდვები სხვადასხვა რეგიონში, ამჟამად ვიმყოფებით სამტრედიის რეგიონში. ჩვენი მიზანია, ევროკავშირთან არსებული საჯარო ხელშეკრულება dcfta-ის შესახებ შეთანხმებებზე ვესაუბროთ დაინტერესებულ ადამიანებს, მათ შორის უპირველესად მეწარმეებს, ფერმერებს, ასევე საჯარო მოხელეებს, რადგან ჩვენი დიდი სურვილია, ევროკავშირთან საჯარო ურთიერთობაზე სწორედ საჯარო მოხელეებმა შეძლონ ინფორმაციის გავრცელება, რადგან ადგილებზე ისინი არიან ყველაზე ავტორიტეტული ფიგურები. მათ ნათქვამს აქვს ძალა და ფერმერებმა, რომელმაც არ იცან ამ ვაჭრობის შესახებ, არ აქვთ ინფორმაცია ამ შესაძლებლობაზე, ჩვენი ტრენინგების შემდეგ თვითონ საჯარო მოხელეები გაავრცელებენ ამ ინფორმაციას.

ეს არის შესაძლებლობა, რომელიც 2014 წლის 1-ლი სექტემბრიდან შევიდა ძალაში, ამოქმედდა და 9600 დასახელების პროდუქტი შეუძლია შეიტანოს ქართველმა მეწარმემ ევროკავშირში საბაჟო და სატარიფო ბარიერების გარეშე. ე. ი. საბაჟო ბარიერის გაუქმება ნიშნავს იმას, რომ ქართველ მეწარმეებს აღარ მოუწევთ ევროკავშირის საბაჟოებზე დიდი ხნით დგომა და ასევე მათ არ მოუწევთ იმპორტის გადასახადის გადახდა. შესაბამისად ქართული პროდუქტი ხდება კონკურენტუნარიანი".



"სამტრედიის მაცნე" შეხვედრის ბოლოს კომენტარი სთხოვა ადგილობრივ ფერმერს. ანზორ მსხილაძე: "რა თქმა უნდა, ჩვენ, ფერმერებს, გვაქვს სურვილი, ჩვენს მიერ წარმოებული პროდუქტი ევროკავშირის ბაზარზე გავიტანოთ. მე, კონკრეტულად, იაბონურ ხუ-

რმას ვაწარმოებ, მინდა, გავიტანო ევროპაზე. დღეს ჩაგვიტარდა ტრენინგი, მივიღე ინფორმაცია, თუ რა გზით, რა მეთოდებით შეგვიძლია, ჩვენი ნაწარმი გავიტანოთ ექსპორტზე. არის სხვადასხვა საშუალებები, თავდაპირველად ლიცენზირება უნდა მოხდეს ამ პროდუქტების".



საკრებულოს სხდომათა დარბაზში შეკრებილებს ზურაბ მოდებაძე ესაუბრა ევროკავშირთან საკანონმდებლო მიახლოებაზე, საერთაშორისო

ტრენინგმა ყურადღება გაამახვილა იმ სასარგებლო ბმულებზე, საიდანაც მეწარმეებმა უნდა მოიძიონ ინფორმაციები ასოციაციების შეთან-

გაპაჩრობთ ტერიორიას დაეპიონირან!

ჩვენ დაუბრუნებთ დიდებას ამერიკას!
ხელახლა ავაშენოთ ჩვენი ქვეყანა!
ღმერთი ფარავდეს ამერიკას!...

ეს სიტყვები გახლდათ ერთ-ერთი მთავარი გზავნილი ამერიკელებისადმი ახლადარჩეულ პრეზიდენტის დონალდ ტრამპისაგან.

20 იანვარს, ამერიკის 44-ე პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ, რვა წელი რომ გახლდათ თეთრი სახლის პატრონი, თანამდებობა დატოვა.

დონალდ ტრამპის ინაუგურაცია, რომელსაც 900 000-მდე ადამიანი ესწრებოდა, აქციების ფონზე მიმდინარეობდა, თუმცა, ყველაფერი პროტოკოლის გათვალისწინებით წარიმართა.

ტრამპმა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის რანგში პირველი ადლუმიც ჩაიბარა და ტრადიციისამებრ, ინაუგურაციის შემდეგ გამართულ ადლუმზე მეუღლესთან – პირველი ლედისთან ერთად იცეკვა კოლეჯ.

“ტრამპი ბიზნესმენი და პრაგმატიკოსია, ლოზუნგები მან რომ ინაუგურაციაზე გააჟღერა, აუცილებელი იყო. დრო გვიჩვენებს რამდენად და როგორ შეასრულებს მას.

რაც მთავარია, საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ თანამშრომლობასა და კეთილშობილურ დამოკიდებულებას, არანაირი საფრთხე არ უნდა დაემუქროს”. – აღნიშნავენ პოლიტოლოგები და ექსპერტები.

მამ ასე, ამერიკის 45-ე პრეზიდენტი უფლებამოსილების შესრულებას შეუდგა.

ლევან გაბუნია



ყოჩაღობა, ვიაროთ ფრთხილად!



ლევან გაბუნია

დადასტურებული ფაქტია, რომ მძღოლთა სამედიცინო შემოწმების პრაქტიკის დანერგვა ყოფილ საბჭოეთში შემაჯავ საქართველოს რესპუბლიკაში ლაგერენტი ბერიას (1899-1953 წ.წ.) სახელს უკავშირდება.

სიახლემ მალევე ჰპოვა გამოხმაურება, აღაფრთოვანა ამერიკელები და ინგლისელები.

ბოლო ხანებში მედიით გავრცელებული საგანგაშო სტატისტიკა, საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევები და ამ დროს დაღუპულთა რაოდენობა, სიმშვიდის, ყოველ შემთხვევაში ჩუმად ყოფნის უფლებას არ გვაძლევს, არც მძღოლებს და არც ფეხით მოსიარულეთ.

გასულ წელს მედიის ცნობით 581 ადამიანი გარდაიცვალა ავტოსაგზაო შემთხვევებისაგან. ხუთჯერ მეტმა კი სხეულის მიძიმე დაზიანება მიიღო.

ამჯერად, ნამდვილად არ გვმართებს ხელისუფალთა დადანიშნულება ამ საკითხში იმ მარტივი ჭეშმარიტების გამო, რომ ბოლო ხანებში საქართველოს ამერ-იმერში იმდენი გზა დაიგო, მოწესრიგდა, საფენმალო ბილიკები, მიწისქვეშა გადასასვლელები, იმდენი საგზაო, გამაფრთხილებელი ნიშანი დაიდგა გზებსა და გზაჯვარედინებზე, რომ წლების წინ ვერც კი წარმოვიდგენდით.

მამ, რაშია საქმე?

რა გახლავთ განზრახული ავტოსაგზაო შემთხვევების მიზეზი?

პასუხი ცალსახა და მარტივია.

მძღოლების უყურადღებობა, გადაჭარბებული სიჩქარე, და რაც მთავარია, მგზავრთა დაუდევრობა, გაუფრთხილებლობა...

ისიც უნდა ითქვას, რომ ვიდრე დღეს, მომავალში უფრო უნდა გამაგვრდეს მოთხოვნები მართვის მოწმობის გაცემისას, ასევე სასჯელი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნასვამ და გადაჭარბებული სიჩქარით მართვის შემთხვევაში და ა. შ.

დაბოლოს (სიტყვები თუმცა ტრაფარეტულია), ფაქტები ამაზრუნენია, სტატისტიკა დამაფიქრებელი!

ისღა დაგვრჩენია, თხოვნით მოუწოდოთ საზოგადოებას, მძღოლებს, ქვეითად მოსიარულეებს:

ყურადღება, ვიაროთ ფრთხილად!

მადლიეხება

ლევან გაბუნია

მორიდებით შემოადლო კარი. გაგვეცნო, სამტრედიელი, სოფელ ეწრიდან გახლავართ, სამადლობელი მსურს გაზეთის მეშვეობით გამოვთქვაო, – გვითხრა ქალბატონმა ნელი გამცემლიძე-კობალაძე-შვილიძემ.

შევიტყვეთ, რომ 56 წლის ქალბატონი 2 შვილისა და 9 შვილიშვილის დედა და ბებია ბრძანებულა.

სამადლობელი კი, ეწრის საბავშვო ბაღის მმართველის, ქალბატონ დოლო მანჯგალაძისა და ბაღის მთელი პერსონალის მისამართით გამოთქვა, იმ სიტბოსა და სიყვარულისათვის, ისინი რომ იჩენენ ნორჩი თანასოფლელებისადმი.

ყუათიანი კვება, გათბობა, სისუფთავე, ლამაზი ღონისძიებები, ერთი სიტყვით, კარგ გარემოში უწვეთ ყოფნა ჩვენი სოფლის პატარებს. – გვითხრა ქალბატონმა ნელამ და სამადლობელი ეწრის საჯარო სკოლის დირექციისა და პედაგოგიური კოლექტივის მისამართითაც არ დაუშურებია.

სოფლის პროგრამებით შესრულებულ-შესასრულებელ სამუშაოებზე გკითხეთ ქალბატონს და გულწრფელად, ალაღად გვითხრა: რომელი პროგრამით გაკეთდა, ვერ გეტყვით, მაგრამ შესანიშნავი ასფალტი რომ დაიგო და განათებულია მთელი სოფელი, ეს ცხადია და მადლობელიც ვართო.

ერთი სიტყვით, თითო უმაღური თუ სადმე აღმოჩნდება, არიან ისეთებიც, ნაკეთებ საქმეს, სიყვითეს სიყვითლევ რომ აღიქვამენ. სწორედ მათ შორისაა ქალბატონი ნელიც.

წელთა სიმრავლესა და ხალისიან დღეებს ვუსურვებთ მას, მრავალრიცხოვან მონაგართან ერთად.

ენრის სოფელთა სამოქალაქო აქტივობები

ნათია ნაცვლიძე

ეწრის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბი არაერთი საინტერესო ღონისძიების ინიციატორი ყოფილა. ამჯერად კლუბის წევრებმა ხელმძღვანელ ციციო ვერუღეიშვილთან ერთად საინტერესო აქტივობები განახორციელეს. ეწრის საჯარო სკოლას რამდენიმე წელია სპონსორობას უწევს “თბილისის მოზარდთა სახლი”. ამ ორგანიზაციის დახმარება გულისხმობს სამედიცინო მომსახურებას, ყოველდღიურ უფასო კვებას, და მრავალ სხვა სიყვითეს. “ჩვენც დაგებრდებით” ამ სახელწოდების პროექტი სკოლამ საახალწლოდ “მოზარდთა სახლთან” ერთად განახორციელა. ორგანიზაციის მიერ გადმორიცხული თანხით შეძენილ იქნა პროდუქტები, საჩუქრები სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებმა “სათნოების სახლის” ბინადრებს გადასცეს. ამ სახლში ეწრის საჯარო სკოლის მოსწავლეებს არაერთი საინტერესო აქცია-ღონისძიება მოუწვევიათ. ამჯერადაც მოხუცები გაამხნვეეს და ბევრი ლამაზი სიტყვა უთხრეს. ხალხურ საყრავთა ანსამბლის წევრებმა (ანსამბლს ნინო ჭანჭალეიშვილი ხელმძღვანელობს) “სათნოების სახლის” ბინადრები ერთობ გაახალისეს. თანხის ნაწილით კი მოსწავლეებმა სოფელში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს და შეჭირვებულ ადამიანებს შეუძინეს საჩუქრები.



ეწრის საჯარო სკოლის დირექტორი, მიხეილ კობალაძე-შვილი: “თბილისის მოზარდთა სახლის” დახმარებით ჩვენი სკოლა არაერთ საინტერესო პროექტს ახორციელებს, ეს ორგანიზაცია სკოლის დიდი მხარდამჭერია, მადლობა ამისათვის მათ. პროექტის “ჩვენც დაგებრდებით” ფარგლებში, ჩვენმა მოსწავლეებმა არამარტო “სათნოების სახლის” ბინადრები მონახულეს და დაასაჩუქრეს, არამედ სოფელში მცხოვრები მოხუცები და მრავალშვილიანებიც.”



იყო დრო, ბოკაირიასა და თარბაბაძის გვარგავნიდნენ

მითხვან ჭილიძე

“ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ” 20 იანვარს თავისი მორიგი, მეშვიდე ყრილობა გამართა. 7 ათას დელეგატს შორის 112 სამტრედიელი “ნაციონალიც” იმყოფებოდა. ამჯერად შეკრებამ იმ დელეგატების გარეშე ჩაიარა, “ნაციონალური მოძრაობის” 9 წლიანი მმართველობის პერიოდში პარტიის პოზიციებს ნებისმიერი შედეგით რომ იცავდნენ და ავტორიტეტებად მოიაზრებოდნენ. აღმოჩნდა, რომ ეს მთლიანად ასე არ ყოფილა, და თუ რატომ, სხვა საკითხებთან ერთად ამის შესახებ თავის მოსაზრებას ენმ-ის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ემზარ შებლაძე ვაგვანდობს.

ჩვენთან საუბარში იგი ყოფილი პრეზიდენტის უკრაინულ პერიპეტეებსაც ვადასწავდა. არ უარყო, რომ სადღაც ვიღაცას რაიმეს მართლაც ართმევდნენ, მაგრამ უმეტესად კანონიერად. ეს თუ ასე არ არის, ერთი დასჯილი მაინც დაამისახელოეთო, კითხვას კითხვითვე უპასუხა.

“რუსთავი 2”-ის გარშემო მიმდინარე მოვლენებსაც შეეხო და დასძინა, იურისტი რომ იყოთ, უფრო მარტივად მიგახედვოდით, რა უსამართლობასთან გვაქვს საქმიო. ვიგი უკუაღვას “ევროპულ საქართველოში” გადაბარებას კარგად ვათვლიო და არა შემთხვევით ფაქტად ჩათვალო. აღინიშნა, რომ ციხეში სხვა ვიგი შევიდა და იქედან სულ სხვა გამოვიდა. განო მერაბიშვილი კი, მისი აზრით, სასამართლოს შემდეგ ან “ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში” დაარჩება, ან საერთოდ წავა პოლიტიკიდან.

ის პარტიიდან გასვლა “ნაციონალების” ორად გაყოფად შეფასდა. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი? ის ხომ არაა, რომ პარტიამ თავისი შესაძლებლობები უკვე ამოწურა?

– პარტია ორად ნამდვილად არ გაყოფილა. საქართველოს მასშტაბით 63 რაიონული ორგანიზაცია გვაქვს, პლუს თბილისის საქალაქო ორგანიზაცია. აქედან მხოლოდ 10-12 თავმჯდომარე თუ წავიდა. ხულოს შესახებ იცით ალბათ, თავმჯდომარემ თავის აქტივისტებს კარი რომ ჩაკეტა და მათ ციხეში მოუწიათ კრების ჩატარება. სამეგრელო სრულად იყო წარმოდგენილი, გარდა ზუგდიდისა, თუმცა, დელეგატები იქაც აირჩიეს. ფოთი მთლიანად ჩვენია... ეს არ არის გაყოფა, ეს არის გარკვეული ჯგუფის წასვლა პარტიიდან.

– როგორც არ უნდა იყოს, ეს ჯგუფი ცოტა ხნის წინ თქვენი პარტიის ღერძს და ავტორიტეტს წარმოადგენდა.

– იყო დრო, ბოკაირიასა და თარბაბაძის გვარგავნიდნენ: ესენი რომ არ გვავდეთ პარტიაში, მაგრები და კარგები იქნებოდათ. ჩვენ ასე არ ვხედავდით. შეიძლება, ვინმეს უარყოფითი მხარეც ჰქონდეს, მაგრამ ჰქონდეს დადებითიც. ჩვენ ყველა რესურსი გვეჭირდებოდა და ყველა რესურსი გამოიყენებული უნდა ყოფილიყო. აღმოჩნდა, რომ თურქი ესენი ყოფილან ყველაფერი. სინამდვილეში პარტიის ხმები მოიტანეს იმ ადამიანებმა, რომლებიც პარტიაში დარჩნენ. სამტრედიის პარტიულ ორგანი-

ზაციაში ერთი ადამიანიც არ არის, მათ აზრს რომ იზიარებდეს. სამტრედიამ ეს პროცესი ჯერ კიდევ 2014 წელს გაიარა, როცა ავთანდილ სტურუამ დატოვა პარტია. მის მერე მოგზაურობს – პირველად “პატრიოტთა ალიანსში” იყო, მერე “თვითმმართველობა ხალხს” მიუკვლავა, ბურჭულაძისთანაც მივიდა და იქედან უარი მიიღო. ახლა ფეისბუქის გვერდზე გიგი უგულავას რადაცევის იზიარებს და მოსა-

ნხას და ეს მათი ანაზღაურება იყო, მაგრამ ის, რომ ვინმეს ვეუბნებოდით, წამოგვეყვით არჩევნებზე და ფულს გადავიხდი-თქო, ეს არ გაგვიყვითებია. შემიძლია ხატზე დავიფიცო, რომ ეს ასეა, ყოველ შემთხვევაში, რაც მე პარტიის ხელმძღვანელი ვარ, ასე არ მომხდარა. 2008 წლამდე რა ხდებოდა, ვერ გეტყვით, არ გამიგია. მაშინაც ერთი ზონის კოორდინატორი ვიყავი და არასოდეს ყოფილა ვინმესთვის ფული გადამხალისა.



რაც შეეხება პრეზიდენტს, მან უთხრა პარტიის ლიდერებს, რომ შესულიყვნენ პარლამენტში, მაგრამ გარედანაც უნდა გვებრძოლა, რათა საბოლოო ჯამში საქართველომ გამიარჯვოს – მიზანი ეს არის. ეს აზრი პრეზიდენტმა პირადად ჩემთანაც დააფიქსირა. ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ მე სკამის დასაბრუნებლად ვიბრძვი. იმისთვის ვიბრძვი, რომ ჩემმა შეიღმა ის არ გაიაროს, რასაც ახლა მე გავდივარ, მინდა, კარგად ისწავლოს, მიიღოს კარგი განათლება და თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ემსახუროს ქვეყანას. მხოლოდ მის პროფესიაზე, მის საქმიანობაზე იზრუნოს და ყველაფერს არ მოედოს. ვიბრძვით იმიტომ, რომ ნორმალური, ცივილიზებული ქვეყანა დარჩეს ჩვენს შვილებს.

– მოდი, ისევ ყრილობას დავუბრუნდეთ, “ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ” წესდებაში ცვლილება შეიტანა და პარტიულ სიებში ქალების რაოდენობა გაზარდა.

– ევროპარლამენტის, ევროსაბჭოს და ყველას თხოვანაც არის, რომ ქალები პოლიტიკაში მეტი რაოდენობით იყვნენ ჩართულნი. ამის გამო წახალისებაც მეტია. ჩვენ ეს 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებშიც გავითვალისწინეთ. საპარლამენტო არჩევნებშიც ორი ქალბატონი შევიყვანეთ სიაში, ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც. წესდების მიხედვით, ამჯერად სამი ქალბატონი უნდა იყოს ათეულში. მივესალმები ამას, რადგან ისინი ზოგჯერ მამაკაცზე მეტ საქმეს აკეთებენ.

კიდევ ერთი ცვლილება ჩაიწერა წესდებაში: ვიდრე მიხედვით სააკაშვილს ბრალდების სტატუსი არ მოეხსნება და საქართველოში არ ჩამოვა, თავმჯდომარის ადგილი ვაკანტური რჩება. ყრილობაზე მიღებული იქნა ისიც, რომ ვანო მერაბიშვილის, როგორც პარტიის გენერალური მდივნის პოსტის ხელშეუხებელია. ბატონმა ვანომ დიდი როლი ითამაშა ამ პარტიის შექმნაში. იგი ბევრი რეფორმის ავტორია, რომლებსაც სხვა ქვეყნები მაგალითად იყენებენ.

– “ნაციონალური მოძრაობის” ყრილობის შემდეგი ნაბიჯები რა იქნება?

– ძალე რეგიონებში ჩატარდება პოლიტსაბჭოს არჩევნები. იმერეთის ექვსი კვოტა აქვს. მეც მივიღებ მასში მონაწილეობას. დაიწყებთ აქტიურ მუშაობას, არ მოვადუნებთ არც ცენტრალურს და არც ადგილობრივ ხელისუფლებას. დანაპირები შეასრულოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ღონეს გამოვიყენებთ სხვადასხვა პოზიციიდან. არც ქუჩაში გამოსვლას მოველოდებით. ლარი უფასურდება, ლარინაციათის კანონი მიიღეს, მაგრამ ვერაფრით უშველეს. გაიზარდა გაზის ფასი. ათი წლის წემით მანქანებზე მოიმატა განბაჟების დირებულება. ლარი გაუფასურდა და ხელფასებმა მოიკლო, თუნდაც, ჩვენს მუნიციპალიტეტში. ძალიან რთული, პრობლემებით სავსე პერიოდი გველის.

95 წლის ნინა მიქელაძე – ხოცა ისევ ახსოვთ და უყვართ სამტრედიისში

ნინა მიქელაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ლინა კრავიცივილი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სამსახურის მთავარი სპეციალისტი დარეჯან ქავთარია, გამგებლის წარმომადგენელი ქალაქის ტერიტორიაზე თენგიზ ცაგურია წმინდა ნინოს დღესასწაულის მისალოცად რესპუბლიკის ქუჩის 12 ნომერში მცხოვრებ წმინდანის მოსახელე ქალბატონს სახლში ესტუმრნენ. ნინობა და დაბადების დღე ერთად მიულოცეს. ნინა მიქელაძეს 27 იანვარს 95 წელი შეუსრულდა.

“აფთიაქში ძალიან დიდხანს ვიმუშავე. თავიდან სოფლის აფთიაქში ვიყავი, ვმუშაობდი პროფიზორად. ძალიან კარგი აფთიაქი გვქონდა. საცხოვრებლად რომ გადმოვედი სამტრედიისში, მერე ქალაქის ცენტრალურ აფთიაქში დავსაქმდი. დღეს 95 წლის ვაგვხვს. მიხარია, რომ წმინდა ნინოს დღესასწაული და ჩემი დაბადების დღე ერთმანეთს ემთხვევა. 95 წლის წინ ჯერ მე დაიბადე, მერე ბიჭიც გაჩნდა, ჩემი ძმა. რაც წლები შემატება, გონება მაკლდება. მაგრამ იმდენი აზრი კი მაქვს, ბედნიერი ვიყო, რადგან ოჯახში მზრუნველობას არ მაკლებენ. დღეს კი თქვენმა სტუმრობამ უფრო ბედნიერი გამხადა”. – გვითხრა თბილისში ქალბატონმა.

ქალბატონი ნინა 4 ათეული წელი ქალაქის ცენტრალურ აფთიაქში პროფიზორად მუშაობდა და ადამიანების ჯანმრთელობის სამსახურში იღვა. სამტრედიელს დღემდე ახსოვთ თეთრ ხალათში გამოწყობილი პროფიზორის უღამაზესი ღიმილი, ასევე მისგან უანგაროდ გაწეული სამედიცინო კონსულტაციები. 95 წლის ქალბატონის დიდი ოჯახი ჰყავს: სამი შვილი, 5 შვილიშვილი და 10 შვილიშვილი.

ლინა კრავიცივილი, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე: “ძალიან ლამაზად ახსოვს სამტრედიას ქალბატონი ნინა თავისი ლამაზი წარსულით, ლამაზი გარეგნობით. გამიხარდა, დღესაც რომ ასე კარგად გამოიყურება. მას არც ამჯერად არ დაუკარგავს თავისი პეწი და ხიბლი. მინდა, ნინა მიქელაძეს სახით ყველა ნინოს მიულოცო ნინობა. წმინდა ნინო ფარავდეს სრულიად საქართველოს”.

ხელისუფლების წარმომადგენლების მოულოდნელმა სტუმრობამ და გამოჩენილმა ყურადღებამ 100 წელს მიტანებულ ქალბატონს უდიდესი სიხარული და ბედნიერება მიანიჭა. გახსენებისთვის და დაფასებისთვის თითოეულ მათგანს ნინა მიქელაძემ მადლობა გადაუხადა. სტუმრებმა დალოცვისას ღირსეულ სამტრედიელ ქალბატონს სიცოცხლის განანგრძობილება უსურვეს.

ნინობა და დაბადების დღე ნინა მიქელაძეს ქალაქში გამგებლის წარმომადგენელმა, თენგიზ ცაგურიამაც მიულოცა: “დიდხანს იყავით, ჯანმრთელად და ბედნიერად, მერწმუნეთ, ისევ ახსოვხართ და უყვარხართ სამტრედიელს”.

ქალბატონი ნინა იმავე დღეს მუნიციპალიტეტის გამგებლის სოციალური სამსახურის შესაბამისი პროგრამით 100 ლარით დასაჩუქრდა.



ნინა მიქელაძე, 95 წლისაა. მისი დაბადების დღე ერთდროულად მისი 95-ე დაბადების დღეც არის.

ნიგნა უნდა დაგბურდოს, შებიკოს, ღამე არ უნდა დაგაძინოს...

ნათია ნაცვლიძე

ჩვენს გაზეთში წლების წინ ერთმა მოსწავლემ თავის საყვარელ პედაგოგს და ჩვენი რუბრიკის დღევანდელ სტუმარს წერილი უბოძა, სადაც წერდა, ის ისეთი პედაგოგია, მის გავლენაზე "სმენად მხეცნი მოვიდიან"-ო. მერე ამ მოსწავლეს უფროსი თაობის ინტელიგენტმა უპასუხა, განა რა არის პროფესიული პედაგოგი ასეთიო. სამტრედიას შესანიშნავი ფილოლოგები არ უკვირს, არც ამ რუბრიკას უკვირს კარგი რესპონდენტები, მაგრამ მართლაც მოვიხიბლეთ ჩემი რესპონდენტით. იგი ღია ამაღლებულია, პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი. საუკეთესო მწერტყველი და დიდებული მოქართული...

– როგორ მიიჩნევთ, რა დგას სიტყვა "წიგნის მიღმა"?

– ჩემთვის ამ სიტყვის მიღმა ჩანს წარსული, აწმყო და მომავალი. წიგნის გარეშე დღე ვერ წარმოიდგენია, პროფესიიდან გამოდინარე. მუდამ ვარ მიჯაჭვული მას. ჩემი მშობლები აჭარაში ცხოვრობდნენ, 5 წლის განმავლობაში ბებიასთან სოფელ დაფნარში ვიზრდებოდი, სულ მინდოდა ბავშვებთან თამაში, ბებია გიმზავდათავრებულ იყო და რატომღაც ეგონა, სოფლის ბავშვებთან თამაშში სწორ მეტყველებას ვერ ვისწავლიდი, ცდილობდა ჩავეკეტე სახლში და ჩემი აღზრდა მთლიანად თავის თავზე აეღო. მე კი ცეკვი და მოუსვენარი გავეპარებოდი მას...

ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი დაეპოთავრე. ბიძაჩემი იყო იქ კათედრის გამგე და ძალიან მიწვიდა ხელს პროფესიულ განვითარებაში. მივლინებები მქონდა საჯარო ბიბლიოთეკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განყოფილებაში. მეგობართან ერთად მოვაშენა ახალი გამოგლევა გიორგი ჩოჩიშვილზე რომელიც "ლიახვისპირელის" ფსევდონიმით იბეჭდებოდა. მერე ეს ნამუშევარი ერთ-ერთმა ჩემმა ლექტორმა სალომე დისერტაციაში გამოიყენა. აჭარაში ჯერ მასწავლებლად, მერე დირექტორად ვიმუშავე. ვმუშაობდი და ხელოვნების ინსტიტუტში, მერე გავთხოვი სამტრედიას. აქ დამევიდრდი და წლებია ვასწავლი ქართულ ენას და ლიტერატურას. იცით, რა მინდა გულისტკივილით ვთქვა? მამაკაცი პედაგოგები არ გვყავს სკოლაში. საქართველოში მამაკაცი მთავარი ოჯახში, მას ქალზე მეტი უნდა ჰქონდეს ანაზღაურება, სკოლა რომ გავაძლიეროთ. ძლიერ ქალს რომელი მამაკაცი შეედრება, მაგრამ სულ ეს წერილი ხმა რომ გესმის, ეს ილექება ადამიანის ტვინში და ალბათ მერე არასასიამოვნო ნაყოფი გამოაქვს, მიმანია, რომ სულ ცოტა 30 პროცენტზე მაინც სკოლაში მამაკაცი უნდა იყოს. სად ბარიტონის ხმით რომ ახსნის ბარათაშვილის "მერანს" და სად მე რომ დავიწრობინებ მელო-სოპრანოთი.

– ხომ არ ამჩნევთ, ახალგაზრდებში ღირიული მუხტის, რომანტიული განწყობების შესუსტებას, გავცხოვრებას და სიცივეს, რასაც წიგნთან დამორება იწვევს? "აღარ უჯერებენ გულს, აღარ კითხულობენ ლექსებს, ბალახი მოედება სულს, თუ არ ვიოცნებეთ სესე" – ამბობს ერთგამ პოეტი ...

– თითქოს ახალგაზრდები უფრო ჩაკეტილები გახდნენ ბოლო 20 წელია, ეს გამოიწვია იმან, რომ სკოლაში ბავშვები დაიყვნენ მატერიალური შესაძლებლობების მიხედვით. ვინც უზრუნველყოფილია და კარგად აცვია, მეორეს დასცინის, მერე ის იზავრება. სკოლაში ადრე ყველა ვაჟი განათლებული და ძლიერი გოგონასკენ მიიღებოდა, სასურველ პარტნიორს ხედავდა მასში, გონება იმდენად ფასობდა. ახლა კი ვინ გამოიყურება მოდურად, ვის რა ფასიანი მობილური უჭირავს ხელში, ის ფასობს.

– დაცინვის საგანიც ხომ არ გახდა "ოთარაანთ ქვრივი" ან აკაკის "გამზრდელი"?

– არა, ზოგი კლასი უდიდესი ემოციით აღიქვამს ამ ნაწარმოებებს, ზოგი საერთოდ არ გისმენს, უბრალოდ ერიდებათ და წყნარად არიან, ოთარაანთ ქვრივი რომ ამბობს: "კარგი შვილო, მე ჩემისად მაყურებელს თვალს დავიბრძელებ და შენისად მაყურებელითა ვივლი და ვიცოცხლებო", წინათ ამას რომ ვამბობდი, კლასში ოციდან თვრამეტი ტიროდა. დედის აღქმა ასეთი ძლიერი არ არის ახლა... ჩემი დეპრესიის მალამო წიგნია, მაგრამ გააჩნია გარემოს და ადგილს, სადაც ესა თუ ის წიგნი უნდა წაეფიქსო. პირველად "გველის პერანგი" რომ გამოვიდა, ხელში ავიღე, მაგრამ ვერ წაეფიქსო. ტურაშვილსა აქვს ლექსი: "ვინ როგორ გადაურჩა 37-ს, ცხოვრება მაგონებს ატრაქციონს, გაქცევა უშველ რობაქიტეს, ნიღაბმა უშველა გალაკტონს". ძალე ერთი თვით რუსეთში მივლინებით წავიდა ჩემი მეუღლე და მეც გავეყვი, ამდენი ხანი ჩემს სამშობლოს არასოდეს გავმორებოვარ, მომენატრა ყველაფერი ქართული, საუკეთესო სასტუმროში ვცხოვრობდი, მაგრამ არაფრად მიდიდა არაფერი, ვეძებდი კავკასიური ადამიანის სახეს.

დავიწყე ამ წიგნის კითხვა, თითქმის დავივიწყებო. არჩილ მაყაშვილი, იგივე არჩილად მეკვი რომ ბრუნდება საქართველოში, როგორ გახდა თავის წარსულს, არა ისე, როგორც გველმა მოხედა დამცინავად თავის პერანგს. ჩვენ წარსულზე ვდგავართ, მისი უარყოფა არ შეიძლება. მიყვარს ძირითადად კლასიკოსები, ადრე დეტექტივებს და ფანტასტიკურ ჟანრის ნაწარმოებებს ვკითხულობდი, მერე უფრო ისტორიულ რომანებს და მოთხრობებს. მიმანია, ნაწარმოები კითხვისას თუ გაძლიერებულ ესთეტიკურ ტკბობას არ გამოვსვს, გამოვიგნულია იგი, წიგნმა უნდა დაგბურდოს, შეგძრას, ღამე არ უნდა დაგაძინოს, არ მახსოვს, ცხოვრებაში ორი წიგნი ერთდროულად წამეკითხოს. ვარ იმ წიგნის შთაბეჭდილების ქვეშ, რომელსაც ვკითხულობ.

– რომელ ლიტერატურულ პერსონაჟს დაუშვებდებოდა?

– ძალიან მიყვარს გიორგი პირველი, კაცი, რომელმაც დედამშვილი მოკლა, მაგრამ სამშობლოსათვის არ უღალატნია. რამდენი წელია ვხსნი "დიდოსტატის მარჯვენას", სულ გიორგის მხარეს ვარ, სულ მინდა, გიორგიმ მოიყვანოს შორენა, იმდენად მიყვარს. დედა რომ გახვდის, მერე ოთარაანთ ქვრივი განსაკუთრებულად შევიყვარე. არ მიყვარს სუსტი და მოწონილი ქალები, ძლიერი ქალები მიყვარს. ყოველი მზის ამოსვლა უნდა გიხაროდეს, იმედი რომ კვდება, კვდება ადამიანიც. მიყვარს მიხეილ ჯავახიშვილი, მის უამრავ პერსონაჟთაგან არც ერთი არ ჰგავს ერთმანეთს. ის ახერხებს, ქართულ ინდივიდუალიზმს გაუსვას ხაზი. დვთისაჟარის და კარპინას საოცარი დიალოგი მახსენდება. მათ რომ გაროზგავენ და გააშიშვლებენ ეკლესიის ეზოში და მერე საჯინბოში რომ არიან (კარგი ტიპაჟია კარპინა, რეველუციური იდეები აწუხებს) და ეს ძველი მედრომე, არაჩვეულებრივი კაცი ეუბ-

ნება კარპინას: კარპინა, შენ გეტყვინა თუ შეგვრცხვა და გვეყინა? ავტორი ამბობს: " ის, რაც კარპინას ეტყინა, ამას ეყვინაო." მომწონს, ავტორი სტრიქონებსა და ქვეტექსტებში რომ გააპარებს აზრს – შენ ქართველი ხარ და ეს არ უნდა დაივიწყო! საოცრად მიყვარს კონსტანტინე გამსახურდიას "მთვარის მოტაცება". დიდოსტატმა მე-



რე "ვანის ყვავილობა" დაწერა, ხარკი გადაუხდა იმ წყობას.

– აკაკი ბაქრაძის არ იყოს, ძაღლს პურივით მიუგდო ეს ნაწარმოები, მისგან თავი რომ დაეღწია...

– უადრესად დიდ პატივს ვცემ ამ კრიტიკოსს, ჩემი თაობა მუდამ აკრძალულ ლიტერატურას კითხულობდა და ეროვნული მოძრაობა რომ დაიწყო, აკაკი ბაქრაძის ყოველი გამოჩენა ხალხში დღესასწაული იყო, 90-იან წლებში დაბეჭდილი მის პუბლიცისტურ წერილებს ვიზიარებდით. ძალიან მიყვარს ჰომეროსის "ილიადა" და "ოდისეა". როგორ აღწერს ავტორი მშენებელი ელენის სილამაზეს. არ ამბობს, რომ ელენეს ჰქონდა ღამაში თვალები ან ვარდისფერი ბავშვები, ამბობს: ელენე კოშკში ზის, რომლის წინაც სხედან ას წელს მიტანებული მოხუცი მამაკაცები, ისინი ძვლებს ითბობენ და ამბობენ, რა გახდა დემეტო ამდენწლიანი ომი ქალის გულისთვისო? მერე აივნებიდან გადმოხედავს მშენებელი ელენე, მისი დანახვისთანავე ეს კაცები ჰბაუკური შემართებით წამოსცივდებიან, ხელებს ცისკენ ალაპყრობენ და იტყვიან: "დიდება შენდა დემეტო, კიდევ ღირებულა ამისთანა ქალისთვის ომის

დაწყებაო." ამიტომაცაა, არამართო ბერძნულს, ევროპული ლიტერატურის საყრდენი არის ჰომეროსი, ამაზე უკეთ როგორ უნდა დაახასიათო პერსონაჟი, რომელშიც ღმერთისმიერისა და კაცისმიერის შერწყმა ხდება...

– ქართველი პოეტებიდან ვის ანიჭებთ უპირატესობას?

– მიმანია, და ეს ჩემი მოყვარული

ღმის ისევეა დამარცხებული, როგორც ტატი. მერე საბერძნეთში წავიდა, გაყიდა ყველაფერი და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას დაუდგა გვერდში, მაშინ, როცა უკვე ლიბერლის ტიტულიც ჰქონდა და სასახლეც, მერე ავიდა გახდა და გარდაიცვალა ეს ბობოქარი გენია.

– პოეტ რატი ამაღლებულთან ნათესაობა გააკავშირებთ...

– ჩვენი წინაპრები რეპრესირებულნი იყვნენ, ბაბუა 37-ში დახვრიტეს, ფაქტობრივად რატის მამა და მამაჩემი დარჩნენ, ისინი ბიძაშვილები იყვნენ. საოცარი სიბოროტეა გვაკავშირებდა ერთმანეთთან, განსაკუთრებულად გვიყვარდა ერთმანეთი მე და რატის მამას, ბოიას, ცუგოს ვეხვდით. "ეკლისა და დაფნის საიდუმლო" მისი ერთ-ერთი წიგნის სახელწოდებაა, ის პროფესიით ეკონომისტი იყო, მაგრამ იყო საოცრად მრავალმხრივი, პოეტური ადამიანი. მისი მეუღლე ნანა ძალიან განათლებული იყო, გერმანისტი, უნივერსიტეტის დოცენტი. ყოველ აგვისტოს რატის მამა დაფნარში ჩამოდიოდა, მარიამობას აქ ხვდებოდა, საოცარი დამოკიდებულება ჰქონდა მიწისადმი, რგავდა ხეებს, მერე წინაპრების სახლი ალაღობდა. აგვისტოს აღდგომისათვის ეწოდებოდა, მისი ჩამოსვლა იმდენად მახარებდა.

– რატის ლექსებშიც არეკლილია სოფლური ყოფის სიყვარული. იმერხმებზეც საამოვნებით მოიხმობს პოეტი... ალბათ მასაც უყვარდა სტუმრობა...

– რატი და ბექა უფრო ხშირად პატარები სტუმრობდნენ სოფელს, მათ ბავშვობა ამ სოფელში გაატარეს, მერე არც ეცალათ. ბავშვობიდან რატი ბგერაზე ორიენტირებული იყო, მეუბნებოდა ბოიას. უფრო მეტად სიტყვის ჟღერადობას, მუსიკას ანიჭებდა მნიშვნელობას. მის ლექსებშიც იგრძობა ეს არაჩვეულებრივი მუსიკა. ძალიან კარგი ახალგაზრდები არიან რატი და ბექა, რატის ტელეგადაცემებს სიამოვნებით ვუყურებ. ცუგოს გარდაცვალებით შოკირებული ვარ. ის ისეთი ძვირფასი ადამიანი იყო.

– თქვენი საყვარელი ფრაზით ან სტროფით დაგვემშვიდობეთ...

– ჩემი სამაგიდო წიგნია ვახტანგ ჯავახიშვილის "უცნობი" და ყოველ წელს ჩემი მოსწავლეები მიმეყვანებიან, გალაკტიონის სახლ-მუზეუმში. ძალიან მიყვარს "სილაყვარდე ანუ ვარდი სილაში" და ამ ლექსით დაეასრულეთ საუბარი: "ქართვთა მორევში დაეშვა ფარდები, სადამო კანკალებს შიშით დარიღობთ, სადამო ნელდება და კედლები ვარდები, მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით."

"ჩვენი მკითხველი"

20 იანვარს ქუთაისში ჩატარდა საქართველოს საბიბლიოთეკო გაერთიანების ჩემპიონატი "ჩვენი მკითხველი" სკოლის ასაკის მოსწავლეთა შორის ინტელექტუალურ თამაშში "რა? სად? როდის?" მასში მონაწილეობა მიიღო სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის გამარჯვებულმა გუნდმა "B 612" (IX საჯარო სკოლა) კაპიტანი თეა მიქელაძე, გუნდის წევრები: ვიტალი შენგელია, გიორგი ფახურაძე, გალაკტიონ ფახურაძე, გიორგი ცაგარეიშვილი, მამუკა კილურაძე. დამატებით თამაშის შემდეგ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის გუნდს მე-3 ადგილი ხედა წილად. მადლობა მათ, მათ მხარდამჭერებს, ჩვენს მკითხველებს.

ზინაჯ ლიბერტი



“მე ამ ფურცელზე ვისუფთავებ მეციურ ტალახს”

ნათია ნაცვლიძე

მორიდებულმა და თავმდაბალმა, ლექსად ვადმოღვრდი მისი სათქმელის რაიონულ ვაზეთში დაბეჭდვა რომ განხორციელდა, ფურცელი დახურულ კარებში შეეკურებინა... აღმოსავლური სიბრძნისა არ იყოს, ცეცხლის ქალაქში ვერ შეახვევ, ერთილე თოფურადაც ვერ ვერდიობი მაღვ ვახდა აბაშელთათვის საყვარელი და სასურველი. აბაშის ლიტერატურული ვაზეთის, “რტონის” რედაქტორმა მიღდა ჩაგანაგამ ერთილე თოფურას ლექსები დაუბეჭდა. მერე მისი ლექსები სენაკის ვაზეთი “მრწამსშიც” გამოქვეყნდა.

სოფლური პეიზაჟების სინატიფის სწორუბოვარ გამცოცხლებელს პირველი პოეტური კრებული რომ გამოეცა, ხბოს გაყიდვა დასჭირდა. “მზის ღიმილი” მისი პირველი წიგნია. 2010 წელს “სამტრედიის მაცნეს” მთავარ რედაქტორს, ქეთევან ჭელიძეს ვააცნო მისი შემოქმედება და იმ დღიდან მოყოლებული, პოეტი ჩვენი რედაქციის ხშირი სტუმარია.

დღეა ექიმი, მამა კი პედაგოგი ჰყავდა, სკოლის დამთავრების მერე თბილისში დიდი ხანი სასწავლო-საქმელ მუშაობაში უმუშავებია. მაინც მშობლიურმა სოფელმა, კვათანამ უხმო, ფესვებს დაუბრუნდა. წუხს, რომ ცარიელდება ქართული სოფელი. მას კი გაძლიერება სჭირდება. “მელნის ხელობის” კაცი, ერთილე თოფურა ცხოვრობს სოფლად და

შრომისაგან დაღარული მისი ხელები მეტყველებენ მის კარგ ქართველობაზე. “სულ ვმუშაობ, არ ვისვენებ, ხან ჩემთან, ხანაც სხვებს ვემარაბები, მაგრამ მაინც შემოქმედებითი უკმარისობის განცდა მაქვს, მე მხოლოდ ბუნების პეიზაჟებს ვაცოცხლებ.” – ამბობს პოეტი. “ლექსებს ქარი წერს, ფოთლები და იაიები, ჩემთან რა ვინდა? მე მხოლოდ მესმის მათი ნაჩურჩულევი...” ერთილე თოფურა კვათანის ეკლესიის სტიქაროსანიც არის.

11 თებერვალი პოეტის დაბადების დღეა, საიუბილეოდ გადავწყვიტეთ, მის შემოქმედებაზე კიდევ ერთხელ გვესაუბრა. ამ საოცრად არაპოეტურ დროში, როცა ადამიანს წიგნის და მით უფრო, ლექსის წასაკითხი დრო არ რჩება, ერთილე თოფურას ლექსები მაინც თავისთან გიხმობენ, თავს წაგაყთებენ, წაგაყთებენ და გაეწყობენ მასკულურული დროების კონინქტურას. ათასგვარი ამქვეყნიური საფიქრალით დაღლილი, ყიდვა-გაყიდვის მანით შეპყრობი-

ლი, მეგანშობის გამძაფრებელი აზარტით სულდამძიმებული... ადამიანი ამ ლექსებს სუფთა სამყაროში შეპყავს, პოეტის ვერდიობი მშობლიური სოფლის ბუნებასავით სუფთაა. სოფლურ ყოფას საოცრად აცოცხლ-ასხივებს მისი ლექსები. “თითქოს ბებიას ჩაუყვავა დიდი ხელები და საყვ მთვარე თბილ ყველივით ამოჰყავს ციდან” ან “მთა დაჩოქილა მეცხვარესავით და ქვევზე დღეს ხმალივით ლესავს, დღეს ხის კანივით ცა ოდნავ გასჭრეს, თითქოს მზის კვირტით დაამყნეს ზეცა...” “წევს ღამე მაკე ღვეკლივით და მზეს მშობიარობს თითქოს...” აი, როგორ ეფერება სვანეთს “სვანეთი მოჩანს თეთრ ნისლებდნან, ტბილ სიხმრებიდან გადმოსულივით, კოშკებს ჩაუცვამთ ტანზე შავი ღრუბლის ჩიხები და თეთრი მთვარე ახურიათ სვანურ ქუდივით”.

პოეტმა ლექსები “ლიტერატურულ პალიტრასაც” გაუგზავნა და მისწერა, გთხოვთ, დამბეჭდოთ, რომ შევეუერთდე თქვენი ღამის სიტყვების კილობან-

სო. ასე შეიქმნა “ლიტერატურული პალიტრის” ახალი რუბრიკა “კილობანი”. თავის ახალ ლექსებს ხანდახან პოეტ ვაჟა ხორანაულს უკითხავს. ეს მეგობრობა რამდენიმე წელია გრძელდება. “ქართველი პოეტებიდან განსაკუთრებულად შოთა ნიშნაიძე მიყვარს, რომელსაც მეტაფორების მეფე უწოდა პოეტმა სოსო ნადირაძემ, შეუდარებელია მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი, ასევე, მიყვარს მორის ფოცხიშვილი.” – გვეუბნება ბატონი ერთილე.

“რომ არ დავსვარო დაწმენდილი თქვენი ოთახი, მე ამ ფურცელზე ვისუფთავებ ზეციურ ტალახს” – ერთილე თოფურასული თემდაბლობა ლექსშიც გაცხადდა. ისევ სიყვარულს, სიყვარულს და სიძულვილით გაყვნილი გულების გათბობას გვეკვიფინებს პოეტი: “ჩვენი რომ გულები გვეკონოდა თბილი, ალბათ მერცხლები თბილ ქვეყნებისკენ არ წავიდოდნენ”.

ლევან გაბაჩავა

რუბრიკა “სუნჯე” ამჯერად დიდი ქართველი პოეტის ვაჟა ფშაველას ცხოვრების ნაკლებად ცნობილ ეპიზოდებზე მოვიხიბობთ, იმედა, სიამოვნებით ვაყენობა მას მკითხველი, ამ რუბრიკაში მგონის ავადმყოფობისა და სიცოცხლის ბოლო დღეებზე ვისაუბრობთ.

ჯერ ლექცია-საუბრები ჩაუტარებიათ საზოგადოებაში, უფრო ახლოს გაუცვნიათ ხალხისთვის ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, მერე კი, მერე დავით კლდიაშვილს, ქუთაისელ ახალგაზრდა მწერლებთან ერთად, ვაჟა-ფშაველას საიუბილეო საღამოს მომწეობი კომიტეტი შეუქმნია.

იმდენად დაინტერესებულან ქუთათურები ვაჟას – ცოცხალი გენიოსის ხილვითა და ახლოს გაცნობით, განუზრახავთ მგონის ქუთაისში მოწვევა, თუმცა, ვაჟას თავი იმ მოტივით შეუკავებია ქუთაისში ჩამოსვლაზე, რომ ძალზე ხელვიწროდ ცხოვრობდა და შესაფერისი სამოსი არ ჰქონდა.

მამინ კომიტეტის წევრებს შეუგრო-

ვაჟა-ფშაველას კითხვარების

ვებიათ ას მანეთამდე ფული და ვაჟასთან ახალი ჩოხა-ახალუხისა და ფეხსაცმლის შესაძენად გაუგზავნათ.

1913 წლის 20 თებერვალი, ქუთაისი...

ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი ვაჟა-ფშაველა პირველად ესტუმრა ქუთაისს.

ამავე დღეს აქაურმა საზოგადოებამ პოეტს შესანიშნავი საღამო გაუმართა, უამრავი თბილი სიტყვა ითქვა მის შემოქმედებაზე, რამაც ეგზომ ასიამოვნა მგონის.

“თეატრი ხალხით იყო გაჭვდილი, საღამოზე პოეტს სული ამოართვეს, იმდენი ლექსი ათქმევინეს, ვაჟას ალტაცებაში მოუყვანია ხალხით გაჭვდილი თეატრი”. – წერდა შემდეგ ამ შეხვედრის სულისსამდგემელი დავით კლდიაშვილი.

საიუბილეო საღამო გრანდიოზულ ბანკეტს დაუკვირგვინებია.

უზომოდ ნასიამოვნები, კმაყოფილი დამშვიდობებთან ერთურთს ქუთათურები და მათი საპატიო და სასურველი

სტუმარი.

მგონის სასთუმალთან

1915 წელს მე-14 ქართულ ლაზარეთში, რომელიც მოთავსებული იყო ამჟამინდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის მე-4 სართულზე, ერთ-ერთ პალატაში იწვა დიდი მგონის ვაჟა-ფშაველა.

“გუშინდელ დღესავით მახსოვს, მთავარ ექიმ ვ. მახვილაძის დავალებით თბილისში ვაჟას მძის სანდრო რაზვიაშვილის სახლს მივადექი, კარი ფრთხილად შევაღე, გამხდარი, გაუპარსავი, ნაბადმოხურული იწვა ბნელ ოთახში ვაჟა.

არ წამოვალ, მოვერევი, ძლივსდა თქვა ჩურჩულით როცა ჩემი მისვლის მიზანი გაიგო.

მძისა და ჩემი თხოვნის შემდეგ ვაჟა ლაზარეთში წასვლაზე დავეთანხმდა, საკაცეს არ მიეკარა, წამოიმართა, მე და მის ძმას გადაგვევია და ჩვენც ვიყავარჯენთ.

ლაზარეთში ვაჟა ნათელ, ვრცელ პა-

ლატაში მოვათავსეთ.

საუკეთესო ექიმები ივანე გომართელი (ნ. ნიკოლაძისთან ერთად დიდ ჯიხაიში ქსენონის ერთ-ერთი დამაარსებელი. ლ.გ.) გრიგოლ მუხაძე, ს. ვირსალაძე, შ. მიქელაძე და სხვები მკურნალობდნენ.

ვაჟასთან ბევრი ნაცნობ-მეგობარი მოდიოდა. მახსოვს მის სასთუმალთან დადგომით მდგომნი: ალექსანდრე აბაშელი, სანდრო შანშიაშვილი, შიო არაგვისპირელი, შიო მღვიმელი, კოტე მაყაშვილი და სხვები.

ერთხელ მთაწმინდის წყალი ითხოვა, მივეუტანეთ, დალია, თითქოს ძალი მოემატა, გადმოხვედა და მითხრა: ნინო, მინდა შენთან სურათი გადავიღო, მანვე დაიბარა ფოტოგრაფი ფვანია, რომელიც მწერალმა ი. იმედაშვილმა მოიყვანა, სწორედ მაშინაა გადაღებული ეს ფოტო.

ფოტოების ანთება თანდათან ძლი-



ერდებოდა. ჩვენი დამარცხებით დამთავრდა ავადმყოფობასთან ბრძოლა.

1915 წლის 27 ივლისს დიდი მგონის ავადმყოფობაში იფრინდა 1961 წლის ივლისში უკვე დამსახურებული ექიმი ნინო ვაშაყიძე-ციციშვილი.

ასე უყვარდათ ეროსი

ლევან გაბაჩავა

ელვარე, თვითმყოფადი ნიჭის წყალობით აღიარება და საყოველთაო სიყვარული არასოდეს ჰკლებია.

გრანდიოზულად აღუნიშნეს იუბილე გასული საუკუნის 80-იან წლებში სამტრედიელებმა საქართველოს სახალხო არტისტს, ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს ეროსი მანჯგალაძეს.

35 წლის წინ კი, 1982 წელს საქართველო ეროსი მანჯგალაძის მოულოდნელმა გარდაცვალებამ დაამწუხრა.

ხელთა გვაქვს 1958 წლის ჟურნალ “დროშას” მეშვიდე ნომერი, სადაც ერთი, უკვე ისტორიად ქცეული ფოტოა გამოქვეყნებული ვრცელი კომენტარითურთ, რომელსაც უცვლელად ვითავაზობთ ჩვენი გაზეთის მკითხველს:

“ამას წინათ ერთმანეთს შეხვდნენ მარჯანიშვილისა და რუსთაველის სახელობის თეატრების ფეხბურთის გუნდები.


ეს იყო, ასე ვთქვათ, თეატრალურ-სპორტული სანახაობა.

ახალგაზრდა მსახიობებმა ნოდარ ჩხეიძემ, ეროსი მანჯგალაძემ, ედიშერ მაღალაშვილმა და სხვებმა ამ “სპექტაკლშიც” შესძლეს დაკისრებული ამოცანის გადაწყვეტა და მშვენივრად “განასახიერეს” ფეხბურთელთა როლები.

1. ასე დაიწყო პირველი “მოქმედება”.
2. სცენის ვეტერანსა და დამწყებ ფეხბურთელს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს ემანუელ აფხაიძეს წილად ხედა პირველი დარტყმის საპატიო უფლება.
3. სცენა გასახდელ ოთახში.
4. ხასიათთა შეტყუება.
5. სპორტის დამსახურებული “რეჟისორის” ბორის პაიჭაძის და თეატრის ახალგაზრდა “ფეხბურთელის” ეროსი მანჯგალაძის შეხვედრა.

ზემოთ მარცხნივ: – ბურთი აქვს ფეხბურთელ ეროსი მანჯგალაძეს, აი, მან მოატყუა მსახიობი ეროსი მანჯგალაძე, ბურთი გაუჭრა დიქტორ ეროსი მანჯგალაძეს... დარტყმა, კიდევ დარტყმა, მაგრამ...”

ასე, ამრიგად გავისხენით ჩვენი თანამემამულე, სახალხო არტისტი ეროსი მანჯგალაძე გარდაცვალებიდან 35 წლისთავზე.



ფოტო ოთ. თურქიანი

ჩემი სარკმლიდან დანახული

ეს ახალგაზრდები სამტრედიის სხვადასხვა საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები არიან. ვოგო-ბიჭები, რომლებიც ვარკვეული ავტორიტეტით სარგებლობენ თავიანთი სასწავლო დაწესებულებებში განათლების დონით, ინტერესის სფეროებით, სანიშნო ყოფაქცევით. მათ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი და თავიანთი ქალაქის სიყვარული აერთიანებს.

ამ ახალგაზრდებმა განსხვავებული წინადადებებით, მაგრამ საერთო განწყობით დაწერეს თავისუფალი თემა "ჩემი სარკმლიდან დანახული ღვთის სახლი და ჩემი ქალაქი", რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ნორჩ ჟურნალისტთა წრეზე იქნა განხილული. თითოეული მათგანის მიერ ფურცელზე გადმოტანილი განცდა იმდენად ინდივიდუალური და მგრძობიარე აღმოჩნდა, გადაწყვეტილი, მათი ნამუშევრები ფართო ასპარეზზე გამოგვეტანა, რაშიც ვაზით "სამტრედიის მაცნე" დაგვეხმარა.

რეალიზია და სარწმუნოება უნდა ღვაძივით

არ ღირს, დავიწყო იმაზე ლაპარაკი, თუ როგორი რელიგია გვაქვს ჩვენ, ქართველებს. მინდა, ვთქვა, რომ ჩვენი სარწმუნოება და ჩვენი რელიგია, უბრალოდ ღირსშესანიშნავია თავისი ტრადიციებით. თუ იმა-საც ვიტყვით, რა განცდები მაქვს ამ კუთხით, ვიტყვი, რომ მთავარი არ არის ქვეყანა განვითარებული იყოს ეკონომიკურად, პოლიტიკურად და ა. შ. უპირველეს ყოვლისა, ჯერ ჩვენი რელიგია და სარწმუნოება უნდა დავიცვათ. მინდა, აღვნიშნო, რომ ჩემი სახლის სარკმლიდან არ მოჩანს ეკლესიის გუმბათი, მაგრამ ის ხილულია ჩემი მეორე სახლიდან, ანუ სკოლიდან, რაც ძალიან მიმსუბუქებს ამ დანაკლისს. ერთი რამ, რისი თქმაც მინდა, ის არის, რომ ჩვენ სამტრედე ქალაქში უნდა დავიცვათ ჩვენი რელიგია, სარწმუნოება და გაუფრთხილდეთ მას.

ლუკა ტაყაიძე

სამტრედიის მ-8 კლასის მოსწავლე



ქალაქის სიმბოლო – სინძინისა და ხმენის ქვაკუთხედი

აქ ყველაფერი მშობლიურია. კარის ზღურბლს როგორც კი გადავადიჯებ, მგონია, საკუთარ სახლში შევდივარ. ასეც არის. აღარ მახსოვს, პირველად როდის მომიყვანეს. პო, როდის მომიყვანეს?! ისე პატარა ვიყავი, მარტო ნამდვილად ვერ მოვიდოდი. ბუნდოვნად მახსოვს, დიდი, ნათელი შენობის წინ ბევრი ადამიანი, უმეტესად ბავშვები, ლამაზები, ლაღები, გაფართობული თვალებით და ცნობისმოყვარე სახეებით. მას შემდეგ ბევრი წელი გავიდა, დაახ. ბევრი, რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ დავდიოდი სკოლაში. ახლა კი მე-10 კლასის მოსწავლე ვარ და ისევ ისე მეუფლება არაჩვეულებრივად თბილი განწყობა, როცა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს მოვაშურებ. აქ ისევ მელიან, აქ ისევ ვუყვარვარ ყველას (ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვგრძობ), პედაგოგებს თუ ჩემს თანატოლებს, რომლებიც ადრეული ასაკიდან "ორუდილამ" დაგვაკავშირა და დაგვაძეგობრა.



და რაც ყველაზე ნიშანდობლივია – ჩემი სარკმლიდან ღვთის სახლი მოჩანს, რომელიც ჩემს თვალწინ ამოიზარდა და ცისკენ აწვდილი გუმბათით უფლის რწმენასა და სიყვარულს გვიძლიერებს.

შეუძლებელია, სხვაგვარად აღწერო – დგახარ სარკმელთან და შენს თვალწინ მიწიდან 33 მეტრზე ამოხილული ღვთის სახლი, წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარი გესახება შენი ქალაქის სიმბოლოდ, სიწმინდისა და რწმენის ქვაკუთხედად, მფარველად და ნავსაყურად, სადაც ადამიანები შედიან, რათა მიიღონ სულიერი სიმშვიდე, გაძლიერდნენ რწმენაში, უფალს შეავდრონ თავიანთი ოჯახი და ქვეყანა, დამშვიდებულებმა დასტოვონ ტაძარი და შეუერთდნენ დამაბულ ყოველდღიურობას.

ამას მე ჩემი სარკმლიდან ვხედავ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის იმ ფანჯრის სარკმლიდან, წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარს რომ შეპყრებ. ამიტომ მომიხარია ასე იმ შენობისაკენ, სადაც ჩემი ნონა მასწავლებელი, ჩემი ელავო აყვავდა, რომლებმაც პატარა გოგონას ცხოვრებაში, ჩემს სულიერად აღზრდაში დიდი როლი შეასრულეს და მე ეს არასოდეს დამავიწყდება.

მე მიყვარს ჩემი ქალაქი, ჩემი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი და ტაძარი, რომელიც ჩემი სარკმლიდან თვალისმომჭრელად კამპაშებს.

ნინო თემურაძე

სამტრედიის მ-3 საჯარო სკოლის

მ-10 კლასის მოსწავლე

ჩვენი ტაძარი ჩვენი სული


ტაძრის წინ მტრედების გუნდი ირეოდა. ალბათ, მტრედები ხალხს უხმობდნენ ტაძრისკენ. მათი ფრთები მზეზე ბზინავდა. ისინი სიკეთეს ასხივებდნენ. ჩვენი ტაძარი ჩვენი სულია, ყველაზე ახლობელი. ერთი რამ, რაც ჭეშმარიტია ამ ქვეყანაზე, ღვთის სიყვარულია. ყველა სხვამ რომ ზურგი გაქციოს, ღმერთი ჩვენთან არის და მის სახლში – ჩვენს გულში იმედს ნერგავს, იმედს მომავლისა.

ვხედავ ჩემი სარკმლიდან ტაძრისკენ მიმავალი ხალხის უწყვეტ ნაკადს, ისინი ღოცობენ, პირჯვარს იწერენ და მათ ხელში ანიტებული თითო სანთელი ხალხის გულში, ჩვენს გულში უდიდეს იმედს ანიტებს.

ღმერთის სიყვარული სიკეთის სიყვარულია, ღმერთის სიყვარული – მიტევების სიყვარულია...

ანიტებული სანთელი მიჭირავს ხელში და ვამბობ: "მამო ჩვენი, რომელი ხარ ცათა შინა" და ვგრძობ, რომ უფალი ჩემთანაა.

სასილო მოხიბვნიძე



ღმერთიც ხომ თვითონ სიყვარულია

ტაძარი – იგივე ღვთის სახლი, სამოციქულო ეკლესია, უფლის საძიებელი და მასთან მიახლოების საუკეთესო ადგილი. ის, როგორც ვიცით, სულიწმინდის გარდამოსვლის დღეს, უფლის აღდგომიდან 50-ე დღეს აღმოცენდა. მაშინ, როდესაც აღსრულდა უფლის აღთქმა და მოციქულებს ცეცხლის ენათა სახით ზედ დაადგა ნუგეშისმცემელი და სხვადასხვა ენაზე ალაპარაკა ისინი. იმ დღეს იერუსალიმში 3000-ზე მეტი ადამიანი მონათლავდა, ხოლო შემდეგ უამრავი ქვეყანა მოიცვა ქრისტიანულმა ეკლესიებმა.

ეს ყველაფერი წლების განმავლობაში შევისწავლე, მაგრამ მაშინ, როდესაც სრულიად მცირეწლოვანი დავყავით მე და ჩემი და ტაძარში ხან დედას, ხან ბებიას არაფერი ვიცოდი. უბრალოდ უფლის მადლით წირვა-ლოცვებს ვესწრებოდი და ვეზიარებოდი უფლის სისხლსა და ხორცს. მიხაროდა ტაძარში მისვლა. თითოეული შემხვედრი გვეუბნებოდა, რომ თქვენი მამიკო მალე მოვაო. მე გულუბრყვილო პატარა ბავშვი ვერც კი ვხვდებოდი, რატომ გვიმეორებდა ყველა ერთსა და იგივეს, ეს სიტყვები ხომ სახლშიც ხშირად მესმოდა. თუმცა წლების მატებასთან ერთად ცნობიერებაც შემატებოდა და მივხვდი, რომ სხვა ბავშვების მსგავსად მყავდა მამა, მაგრამ პატიმარი იყო და არ ვიცნობდი, თუმცა როგორც გვეუბნებოდნენ, რომ მამას ღმერთი დაგვებრუნებდა. მეც ვიჯერებდი და ვიცნებობდი იმ დღეზე, როცა ღმერთი მართლად დამებრუნებდა მამას და ამ ოცნებით ყოველ კვირას და საღვთსაწაწა დღეებზე სისხარულით მივიჩქაროდი წირვა-ლოცვაზე. ასე დავგავაძვირა უფალმა მისივე ნებით დამშვიდებული განსაცდელით ჩვენი ოჯახი და ტაძარი ერთმანეთს.

ნამდვილად უფლის დიდი მადლით სამტრედიის ცენტრში მეფე დავით IV ბაგრატიონის სახელობის საკათედრო ტაძრის ფუნქციონირება. ადამიანისა, რომელიც 16 წლის ასაკში გამეფდა, იყო კეთილმსახური, თავმდაბალი მონარქი, რომელიც მოძღვრის კურთხევის გარეშე ნაბაჯს არ დგამდა, იგი მეუფე ჭყონდელის აღზრდილი იყო. მან 1121 წლის დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებით საბოლოოდ განდევნა თურქ-სელჩუკები ქვეყნიდან. მან, როგორც არმაში, ასევე მმართველობის სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გაატარა, რითაც ხელი შეუწყო ქვეყნის გაერთიანებას და კავკასიის მიწების ჩვენს დაქვემდებარებაში შემოყვანას. მან განავითარა ქვეყანაში ქრისტიანული კულტურა, მის დროს აშენდა მრავალი ეკლესია-მონასტერი. განსაკუთრებულია გელათის მონასტერი, იქვე დაარსებული გელათის აკადემიით. მას ეკუთვნის პოეტური ნაწარმოები "გალობანი სინანულისანი". მადლიერმა საზოგადოებამ მას აღმაშენებელი უწოდა, ხოლო საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.

მართლაც უფლის საჩუქარია ჩვენი ქალაქისთვის, ეს არა მხოლოდ სულიერების, არამედ ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლია. შეამაყება, რომ აღნიშნული ტაძრის საძირკვლის ჩასხმაში 1991 წელს დიდი როლი მიუძღვის ჩემს ბიძას, შალვა ჯღამაძეს, რომელიც იმ პერიოდში მშენებელ-ინჟინერად მუშაობდა.

სწორედ ეკლესიების მშენებლობა და მართლმადიდებლობის გაძლიერება არის ჩვენი ქვეყნის ძლიერების საფუძველი. ჩვენი ქალაქის ტერიტორია მუზიკალური ქალაქის შორის საბრძოლველი ადგილი ყოფილა, რისთვისაც მისთვის "სამტრე დისა", ანუ იგივე "სამტრე მიწა" დაურქმევიათ. თუმცა ყველაფერი ხომ უფლის ნებაა და როგორ შეიძლება ისეთი ადგილი, რომელზეც ჩვენი ქალაქი მდებარეობს "სამტრე" ადგილად წოდებულიყო. დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა. ჩვენი თანამოქალაქენი გრძობენ უფლის თანადგომას და თვითონაც მისწრაფიან მისკენ, ამიტომაცაა "სამტრე მიწად" წოდებული ადგილი სამტრედე ქალაქად გარდაიქმნა. ესეც სიმბოლოა, მტრედი ხომ შეიღობის სიმბოლოა, ხოლო ქრისტიანულად სულიწმინდის განსახიერება.

აი, ეს არის სწორედ ჩვენი სამტრედე ქალაქი, სიყვარულის ქალაქი, ძმობისა და მეგობრობის სიმბოლო. ღმერთიც ხომ თვითონ სიყვარულია, ამიტომაც ჩუქნის მის შექმნილ ადამიანს დაბადებისთანავე სიყვარულს, მაგრამ დროთა განმავლობაში ბავშვის აღზრდის პროცესში ეს გრძობა თანდათან უნდა ღრმავდებოდეს. ამიტომაცაა, ყველა ქართული ზღაპარი, ურომლისოდაც ქართველი ბავშვის ბავშვობა წარმოუდგენელია, ღვთის დიდებით, ესე იგი სიყვარულის დიდებით იწყება: "იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა?!"

ბიძგი კლავაძე

სამტრედიის № 3 საჯარო სკოლის მ-8 კლასის მოსწავლე

ღვთის სახლი და ჩემი ქალაქი

სასიამოვნო ამ ქაჩაქი გლოვიება



სარკმელი, ანუ შემომაკალი სხივი, ნათება, რაც თვით უფლის სიდიადეზე მეტყველებს. ეკლესია თავად ქრისტეს სხეულია. მასში შევდივართ და ვეზიარებით მის წმინდა ხორცსა და სისხლს, რაც თითოეული ადამიანისთვის აუცილებელია. ასეთი ღმერთი მიყვარს მე. ასეთია უფალი ჩემს წარმოდგენაში.

ღლით სწორედ ამ ტაძრიდან გამოსული ზარების რეკვა მღვდლებს და ანგელოზების გაღობასავით ჩამქვამს ყურში. ეს ის ტაძარია, რომელსაც საფუძველი 26 წლის წინ ჩაეყარა. ღვთისა და ერისათვის სასიკეთის წარმატებით სრულდება. როდესაც ამ ტაძრის გვერდით გავივლი ან სადმე შორიდან მოვკრავ თვალს, არაბუნებრივი გრძნობა მეუფლება. თითქოს თვით წმინდა დავით აღმაშენებელი ბრწყინვალე შარავანდედით მოსილი გადმოჰყურებს მთელ ქალაქს. როდესაც ვუყურებ მას, ან ზარების რეკვა მესმის, ვმზიდვები. აფორიაქებული ფიქრები გონებაში ლაგდება და წამიერ შევბას ვგრძნობ. მართლაც, რა დიდებულია ეს ტაძარი!

აღრე ამ ქალაქს მხოლოდ მატარებლის ხმა აღვიძებდა, ახლა კი ამ ხმას ზარების რეკვა გასდევს თან და ფრთების ფრთხილი. სულ უფრო და უფრო სასიამოვნოა ამ ქალაქში გაღვიება. მით უმეტეს, მაშინ, როდესაც შენი სარკმლიდან ღვთის სახლი მოსწონს.

ანა იმეჯანი

სამტრედიის № 3 საჯარო სკოლის 8-11 კლასის მოსწავლე

სამტრედეა სამტრედიო

თითქოსდა ერთი ჩვეულებრივი დილა გათენდა. შემოდგომის ფოთლებს ქარი ფოთლების შრიალს მუსიკის პანგივით ხმას უწვობს, ჩემს სარკმელთან ახლოს მდებარე ტანაშოლტილი, ახალგაზრდა მზეჭაბუკივით მხარგამოილი ტაძრიდან გამოსული ზარების ხმა: “_ ქრისტე მოდის, ქრისტე მოდის!” _ იხმობს თავისუფან ყველას, ვისაც კი გაუღვიძია მეც მათთან ერთად მიხმობს.

უნებურად სარკმელი გამოვალე... თავი რატომღაც წარმოსახვას მივანდე. ამ დროს ორი დრო დაეჭიდა ერთმანეთს, ჩემი მშობლიური ქალაქის წარსული და მომავალი. თითოეული თავისუფან მექაჩება. თითქოს, რაღაცამ ზარის ხმით ჩამძახა: “_ ნუ დაკარგავ ძველს გზასაო!” და მე მივანდე. ჩემს გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს იქვე. სარკმელთან მოფარფარებდა მტრედებმა და მანიშნეს: “_ ჩვენი წვლილიც არ დაგავიწყდესო!” ფრთა შემოკრეს და ცაში კამარა შეკრეს. მე კი დავრჩი ისევ ჩემი მშობლიური ქალაქის წარსულში სამოგზაუროდ...

ამრიალებს კვლავინდებურად...



ჩემს წინ გადაიშალა მომრავალე ტყეები, მოფარფარებდა და მოლულუნე მტრედთა გუნდი, _ სამტრედეა სამტრედიო... ჩემი გონება შეარხია და გამოაფხინლა მატარებლის ხმაურმა, რომელიც აღვიძებდა ქალაქს. ძველი ვაგონები რახრახით მოფარავენ ჩვენი ქალაქის წარსულიდან...

უკვე კარგად გაიღვიძა. წარსულიდან მომავალში სამოგზაუროდ რაღაც, სასიამოვნო ანტილიმა მიმანიშნა. თვალი ტაძრისაკენ გამექცა, რომელსაც დავით აღმაშენებლის გვირგვინით მზე ადგას გაბრწყინებული.

_ ეს იყო 1991 წლის 5 ივლისი (ერთი წელი გასულა 9 აპრილის ქარბობადას შემდეგ, რომელმაც ჩვენდა სასიკეთოდ ტაბუდადებულ ღვთის სიყვარულს ფარდა ახადა). ჩვენმა უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ტაძრის მშენებლობას ტაძრის საძირკვლის კურთხევით საფუძველი ჩაუყარა.

და აი, გაიჭრა საძირკველიც, თითოეული ბოძი თუ ტაძრის კედელი დიდი სიყვარულითა და რუღუნებით არის აგებული, თითოეული ჩუქურთმა საქართველოს კუთხეებით არის შეკრული.

დიდი გალაკტიონი ტაძრის მშენებლობას რომ მოსწრებოდა, აქაც ივითხავდა: “_ ნეტავ ვინ ააგო? რა ხელმა ააგო?” _ და პასუხიც იქნებოდა _ “ერთმანეთის თანადგომამ და დიდმა სიყვარულმა ააგო, ბატონო გალაკტიონ!”

სიყვარულით გადმოჰყურებს 40 მეტრი სიმაღლიდან ჯვარი ქალაქს, ლოცვას და იმედს აძლევს ტაძრისა და მის წინაშე ქედმოხრილი მამაკაცისა თუ ქალბატონის ჩუმად მორიდებულ თხოვნას თუ ლოცვას.

მეც იმედინად შევყურებ ჩემს სათაყვანებელ ტაძარს და გულზე მესაღებუნება ის წუთები, რომლებიც ჩემს წარმოდგენაში განვიცადე, პირჯვარი გადავისახე და ვთქვი ილიას სიტყვები:

“კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე _ ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, აბა დღეს მე ვის რა ვარე?”

იუნე ალვაიძე

სამტრედიის № 3 საჯარო სკოლის 8-8 კლასის მოსწავლე

საქართველო წმინდასთა სამქედლო

“ეკლესია და სამღვდლოება წარმოადგენდა გამუდმებულ და მედგარ ოპოზიციას დამპყრობთა წინააღმდეგ, ამისთვის შავნელ დროსაც კი საქართველოში ხალხი დიდად მორწმუნე და მედგარად დამცველი იყო ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეკლესიისა”. ეს სიტყვები ეკუთვნის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ამბროსი ხელაიას.

ყველა დროში საზოგადოება სიყვითისკენ მიიღვრება და ბოროტებას ერიდება, მაგრამ ვინც ეკლესიას არ უსმენს, მისი შეხედულება სიყვითესა და ბოროტებაზე ხშირ შემთხვევაში ცვალებადი და უმეტესწილად მცდარია.

გასულ საუკუნეში კომუნისტური ხელისუფლების პერიოდში მხოლოდ და მხოლოდ მატერიალისტური იდეოლოგია იყო. საზოგადოებაში დიდი მონღომებით თესდნენ ათეიზმს, ხოლო მორწმუნე ადამიანს დასცინოდნენ, ზოგ შემთხვევაში კი აპატიმრებდნენ, აწამებდნენ, ხვრუტდნენ.

დღეს, დემოკრატიის პირობებში ეკლესიებში მრევლი მომრავლდა, რაც, რა თქმა უნდა, საიმედოებს ჰკვირებს ნებისმიერ ქრისტიანს, თუმცა ცხოვრების წესით, სიტყვით და საქმით მისაბაძი უნდა იყოს ნებისმიერი ქრისტიანი და არ უნდა, დაგვაფიქვდეს, რომ ღვთის მიერ კაცობრიობისათვის მიცემული ათი მცნება მარადიული და უცვლელია. მარხვა, ლოცვა, აღსარება, ზიარება, სასულიერო ლიტურგირის კითხვა გვაახლოებს ღმერთთან. უნდა გვახსოვდეს, რომ ვინც არ უსმენს ეკლესიას, იგი აუცილებლად მოტყუვდება. ღმერთის შვილი ცხოვრების წესით უნდა ემორჩილებოდეს ღმერთს და აღასრულებდეს მის მცნებებს.

საქართველო წმინდანთა სამქედლო. 13 ნოემბერი 100 000 მოწამის ხსენების დღეა. არც ერთ ქვეყანას არ ახსოვს ასე მასიურად ქრისტიანთა წამება და მოკვდინება მხოლოდ რწმენისათვის, ქართველთა სისხლით შეიღება მტკვარი და გვამების სიმრავლით ადიდა მდინარე.

დღეს კვლავ მოწმენი ვხვდებით ჩვენი მოძმე ასირელებს ქრისტიანული რწმენისთვის წამებისა და მოკვდინებისა, რაც შემადრწუნებელია.

ქრისტიანობა სიყვარულის რწმენაა, ღმერთს ხომ ყველას გადარჩენა შეუძლია განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. ღმერთი სიყვარულია და თუ გვინდა მასთან ახლოს ვიყოთ, სიყვარულით უნდა ვიცხოვროთ. წმ. გიორგი წამების დროსაც ევედრებოდა ღმერთს მეფე დიოკლეტიანესთვის, რომელიც მას ექვსი თვის განმავლობაში აწამებდა ქრისტეს რწმენის გამო.

ღმერთი რომ სიყვარულია, ამას ზღაპრებიდან სწავლობენ ქართველი პატარები. ყველა ქართული ზღაპარი ხომ უფლის დიდებით იწყება: “იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა?!” “იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყობრელი”.

უძიმესი ისტორიის მქონე ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას ერთადერთ იმედად მუდამ რჩებოდა რწმენა უფლისადმი, რამაც დღემდე მოიყვანა ქართველი ერი. უძველესი ეკლესია-მონასტრები, რომლითაც მდიდარია ჩვენი ქვეყნის კუთხეები, მეტყველებს ქართველების ღრმა რწმენაზე. მათ შესანარჩუნებლად მრავალ ქართველს გაუწირავს სიცოცხლე.

მიუხედავად იმ განსაცდლებისა, რაც საუკუნეების განმავლობაში მოსდევს საქართველოს, ქართველები მაინც გრძნობენ უფლის თანადგომას და ქვეყნის მასშტაბით დიდი მონღომებით ახორციელებენ ტაძრების მშენებლობას და ძველი ეკლესია-მონასტრების რესტავრაციის უწყვეტ პროცესს. ამ საქმეში სამაგალითოა სამტრედიელების როლიც. ისინი არა მხოლოდ მხურვალედ ლოცულობენ, არამედ პრაქტიკულადაც ახორციელებენ კეთილ საქმეს, რამეთუ სიტყვა კონკრეტული საქმის გარეშე ფუჭია. ნათქვამია, “საქმეძან შენმან წარმოგაჩინოსო”, მართლაც, ჩვენს რაიონში ბოლო წლების განმავლობაში მრავალი ეკლესია-მონასტერი აშენდა და შეემატა იმ მრავალსაუკუნოვან ეკლესია-მონასტრების რიცხვს, რომლებიც ისტორიას უწერენ ჩვენს ქალაქს. მაგ. წმ. გიორგის სახელობის ტაძარი სოფ. იანეთში, ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია ქალაქის ცენტრში, მაცხოვრის სახელობის ეკლესია რესპუბლიკის ქუჩაზე, წმ. ნახარი მთროპოლიტის სახელობის ეკლესია სოფ. ნაბაკეში და მრავალი სხვა. ამჟამად მიმდინარეობს რამდენიმე ეკლესიის მშენებლობა.

აღნიშნულში კი უდიდესი დამსახურება ჩვენს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს ეკუთვნის. სწორედ მის სახელს უკავშირდება კომუნისტურ პერიოდში დიდი რაოდენობით გაათვისებული ქართველის სარწმუნოებისაკენ შემობრუნება და მთლიანად ერის გაჯანსაღება. კარგად ახსოვს ქართველებს ჩვენი ერის უახლოესი ისტორია, როცა ამბიონიდან საკვირაო საღმრთოწილო წირვის შემდეგ ქადაგებებზე უწმინდესის მიერ მოუხილებელი მხილება ხელისუფლების წევრებისა, ამაღლოვლად კურთხევის მიცემა ერზე ამა თუ იმ კეთილი საქმის კეთებაზე, რაც ეხებოდა ბავშვთა აღზრდას, ქართული ოჯახისა თუ საერთოდ ქვეყნის კეთილდღეობას. აღსანიშნავია მისი ინიციატივა ყოველი მესამე ბავშვის მონათვლასთან დაკავშირებით, რამაც გარკვეულწილად ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის გამრავლებას შეუწყო ხელი.

ყველა განსაცდელი დაძლევადა მხოლოდ უფალთან სიახლოვით. ხშირ შემთხვევაში ხომ ტაძრის კართან განსაცდელს მივყავართ, მაგრამ მხურვალე სინანულით, ლოცვით, მარხვით ადამიანი ღმერთს უახლოვდება, ხოლო ღმერთი ყველა განსაცდელს დაგვამტკიცებს.

ანა ალვაიძე

სამტრედიის № 3 საჯარო სკოლის 8-8 კლასის მოსწავლე

ილია მზიროვისა, ჩემო ტაძარო!

მზის შუქი დაფენა ჩემი სარკმლის მინას. მერე ოთახში შემოაღწია და ცისარტყელის შეიდი ფერი აკაფდა. მტრედების ღულუნი სასიამოვნოდ ჩაესმის ჩემს სენას. ვდგები და სარკმლიდან ვიხედები. გათენდა. ნათელი დღე იწყება. ისმის ზარების რეკვა. აივანზე გადღივარ. ჩემი ფეხის ხმაზე აფრთხილებული მტრედები აფრინდნენ მოაჯირიდან, კამარა შეკრეს და ცას შეუერთდნენ. თვალი გავაყოლე. ისინიც იქეთ მიფრინავენ, საიდანაც ზარების რეკვა ისმის. თვალს იხიდავს და სულს ატკობს ამ სილამაზის ცქერა. მტრედისფერ ცას სწვდება ჩემი ტაძრის გუმბათზე აღმართული ჯვრის სიდადე. მტრედები გუმბათის გარშემო ფრინენ. ზოგიც ზედ ჩამოვდა. ტაძრის ზარები კი ისევ რეკავენ, თავისთან მიხმობენ. ეს ჩემი ტაძარია _ ჩემი ღვთის სახლი. ჩემი სულიერი სიმშვიდის ნავსაყუდელი.



დილა მშვიდობისა, ჩემო ტაძარო!
დილა მშვიდობისა, ჩემი ქალაქო!
ახლა მზერა მარჯვნივ გადამაქვს. ავერ ლიანდაგზე გველივით მივილაკნება მატარებლის გრძელი შემადგენლობა. ვაგონები ქშენით ებმებიან ერთმანეთს. დილის სუფთა ჰაერს კვეთს ელმავლის სტვენის ხმა, ეს ჩემი ქალაქის პირველი სიამაყე _ რეინიგზაა. ულამაზესია რეინიგზის სადგურის წინ მდგარი მრავალწლოვანი ნაძვი. გვიანმა შემოდგომამ მას სხვა ხიბლი და ფერი შემატა. გული სიამაყით მექვება. ეს ჩემი ქალაქი ჩემი სამტრედეაა. მიხარია, რომ ვცხოვრობ იქ, საიდანაც ხელისუფლივით ჩანს ჩემი ქალაქის ეს ორი უმშვენიერესი და უმნიშვნელოვანესი რამ.

მადლობა, უფალო, ამ დღისთვის! მინდა, რომ ყოველი დღე ჩემს ქალაქში ასე ლამაზად, ასე მშვიდობიანად იწყებოდეს. ზარების რეკვა, მატარებლის გუგუნე და მტრედების ღულუნი აღვიძებდეს ჩემს ქალაქს _ ჩემს სამტრედიას.

ანა იმეჯანი

სამტრედიის № 3 საჯარო სკოლის 8-11 კლასის მოსწავლე

ანა იმეჯანი

ტაძრამდე მიმავალი გზა მიყვარს

ნისლიანი გზა. ჩიტების ჭკვიკვი. ეს გზა ჩემი სახლიდან ტაძრამდე მიდის. ჩემი სახლიდან მაღალგუმბათიანი, ლამაზი დიდი ტაძარი მოსწონს. მე სიმათლეს ვიტყვი, ტაძარში უფრო ხშირად ზაფხულობით დავდიოდი. ახლაც დავდივარ, მაგრამ იშვიათად. როცა ამ ტაძარში შევდივარ, ყველაფერს ვივიწყებ და მხოლოდ ტაძარში ვარ _ ჩემთვის ყველანაირი განცდილობისაგან გათავისუფლებული. ჩემსავით, ზოგიერთი ადამიანი ტაძარში შესვლისას ვევაღფერს ივიწყებს, მათ შორის სულიერ განცდებსაც. ეს გზა, რომელიც ჩემი სახლიდან ტაძრამდე მიდის, ძალიან მიყვარს.

ანა იმეჯანი

სამტრედიის № 3 საჯარო სკოლის 8-7 კლასის მოსწავლე



8 თებერვალს უკუვხვით ადამიანების იხსენებს

1073-1125 წლები. ამ ორ თარიღს შორის არსებული 52 წელი საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოდ, რომ საქართველოს მხსნელად მოვლენილ მეფეს აღვხედოთ, განვიხილოთ, გაემდიერება და განემტკიცება მტერთაგან ათასგზის ავარქმნილი და გაპარტახებული ქვეყანა.

რეფორმები: **საეკლესიო** – რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, დასჯილი, ეკლესიიდან განკვეთილი უდიდისი სასულიერო პირები.

კულტურული – გელათის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა, მეფისავე შემოქმედების ნაყოფი – “გალობანი სინანულისანი”...

სამხედრო – რეგულარული, მუდმივი არმიის შექმნა და გაწვრთნა. მოგებული ომები და გვირგვინი წარმატებულად დასრულებული ომებისა, დიდგორის ომი...

სიკვლე – ქველმოქმედება, გლახაკთა, კერავ-ობოლთა განვითარება. გულწილად, გლოვა გამხრდელისა – ჭყონდიდელისა...

განუხრბელი სიყვარული მშობელი ქვეყნისა, მშობელი ერისა.

სიცოცხლეშივე დაიწერა გულისფერვანზე საყვარელი მეფის სახელი ქართველმა ერმა.

შორს გასულიყო მოწყალე, თუმცა მტერთან შეურთებელი მეფისა და მისი რეინსმეკნეტილი ხმლის სახელი.

მაშინდელი მსოფლიოს უზარმაზარი იმპერიების საჭეთმპყრობელიც კი ძრწოდნენ ქართველი მეფის ძლევაშესაძლებლობის წინაშე.

სიმბრებრ გაფრენილიყო მეფობის 38 წელი, რომელსაც წინ ჭაბუკობის 16 წელი უძღვოდა.

52 წლისა იყო მხოლოდ, თუმცა დაღლილი...

დაღლილი შრომით, ფიქრით, განსჯით, ომით...

52 წლისა აღესრულა “სიყვდილი შეპყვა წებოვანი ფეხით სახლსა სადავითოსსა, ტფილისის სასახლეში პრულითა რათამე შეუნიერთა დაიძინა მან”. თბილისიდან გელათს წაასვენეს, მისგანვე აშენებულ საკანეს.

გელათის ეზოს მთავარ შესასვლელთან, მონასტრისა და აკადემიის გზაბოძალზე გათხრილ სამარტვილეში ჩაასვენეს წმინდა ცხედარი.

უზარმაზარ, გოლიათური ცხედრის ტოლ ქვაზე ამოკვეთს ეპიტაფია: ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნისამდე, ამას დავემკვიდრო, რამეთუ მინაგეს ესე”.

უმტყუნიერესი ზედწოდება – ადამიანებელი უწოდა ერმა დამამრავალ მეფე-პატრონს.

ეკლესიამ წმინდანად შერაცხა მეფე ადამიანებელი.

ლექსი-ეპიტაფია უძღვნა არსენ ივალთოელმა ადამიანების ხსოვნას:

“ვის ნაჭარმაგვეს მეფენი თორმეტი პურად დამესხეს, თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა იქით გამეხსნეს, თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამეხსნეს, აწუ, ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედან დამესხნეს”.

8 თებერვალს იხსენებს ეკლესია წმინდა მეფეს.

ლევან ბაბუნაძე



დაპიტიოს ისტორიკოსის

დავით ადამიანების ეპოქის შესასწავლად პირველხარისხიანი მასალა ქართული წერილობითი ძეგლებია. ამ მხრივ, მეტად საინტერესოა ქართული ისტორიოგრაფიის ძეგლი “ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი”, რომლის ავტორის სახელი და გვარი უცნობია.

იგი პირობითად დავით ადამიანების ისტორიკოსის ზოგადი სახელითაა ცნობილი. მისი სახელი და გვარი თავისდასაკმაყოფილებად ან სხვაგან აღნიშნული არაა. პირდაპირი ცნობა მის შესახებ არც ერთ წყაროში თუ სხვაგან არ მოიპოვება. ეს გარემოება, ცხადია, შეუძლებელს ხდის დავითის ისტორიკოსის ვინაობის ზუსტად დადგენას, უნდა ვიწმინდოთ, რომ ყველა მოსაზრება ამ საკითხზე მიახლოებითი და ვარაუდობითი დაფუძნებულია.

იგი პირობითად დავით ადამიანების ისტორიკოსის ზოგადი სახელითაა ცნობილი. მისი ვინაობით არაერთი ქართველი ისტორიკოსი დაინტერესდა, თავისი მოსაზრება გამოთქვა. თ. ჟორდანიას აზრით, “ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისის” ავტორი უნდა ყოფილიყო დავით ადამიანების თანამედროვე და ამასთან იმ დროის გამოჩენილი მოღვაწე: იოანე კათალიკოსი ან სვიმონ ჭყონდიდელი, ან კიდევ არსენ ივალთოელი. ამ უკანასკნელის ავტორობას სათანადო საბუთების მოხმობით, თვით ჟორდანიას აყენებდა ექვემდებარება – თუმცა არც იოანე კათალიკოსისა და არც სვიმონ ჭყონდიდელის ავტორობის საკითხი ჰქონდა დადგენილი ერთი მათგანის სასარგებლოდ განსხვავებული თვალსაზრისი წამოაყენა პროფესორმა ს. კაკაბაძემ. მან დავით ადამიანების ისტორიკოსად მისივე ანდერძებში მოხსენიებული არსენ ბერი მიიჩნია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ დაყენებული პრობლემა ბოლომდე ვერც ს. კაკაბაძემ გადაწყვიტა.

1916 წელს გამოვიდა ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი “ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად”. მკვლევარს საამისოდ საჭირო მასალები ბევრი დაუძებნა გულდასმით ისტორიასა და სხვა წყაროებში, მაგრამ ვერ უპოვია და მართებული დასკვნა ვერ გამოუტანია იმის შესახებ, ვინ იყო ის ისტორიკოსი, რომელმაც დავით ადამიანების ცხოვრება და მოღვაწეობა აღწერა. ივ. ჯავახიშვილი იცნობდა ზემოთ მოყვანილ მეცნიერთა მოსაზრებებს და მიიჩნევდა, რომ დავით ადამიანების ისტორიკოსის ვინაობა დაუდგენელი იყო.

ამ საკითხზე საუფრადღებო აზრი აქვს გამოთქმული კ. კეკელიძეს. მისი მტკიცებით, დავითის ისტორიკოსის არის თანამედროვე მეფისა, მასთან დაახლოებული პირი, მისი მოძღვარი. ეს უნდა იყოს არსენ ბერი საღირის ძე. არსენ ბერის ავტორობას კ. კეკელიძე ამტკიცებს უხვი ფაქტობრივი მასალის მომარჯვებით. გამოთქმა “ეს უნდა იყოს” მთლად ბეჭედდასმული არაა, მაგრამ მის სისწორეში არც ეჭვი შეპარვია ვინმეს, თუმცა არც გადაჭრით მიუღია.

განსაზრებავი ერთიც: მონაზონმა და მოძღვარმა არსენმა, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს თხზულება “მეფისა დავითის – მონაზონი არსენი”, რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე ისეთი ციტირებული უნდა იყოს და ზმა უძღვნა დავით მეფეს, რომელსაც დავით ადამიანებელი თავის “სასოს და განმანათლებელს” უწოდებს. განმტკიცებული აზრით, იგია თანამედროვე დავით ადამიანებისა და დემეტრე მეფისა. შესხმამში თანამედროვეთა ცნობებში იგია დავითის იგამომწვევადი სახეა წარმოჩენილი. ამის დასტურია მასში მხატვრულმედრობათა გასაოცარი სიმრავლე – 31 და ისიც ერთგვარადან მასალაში. არსენი ხოტბაში ენაშურობით, იმავე ფრანკებით, მორგებული სიტყვებითა და დასრულებული ეპითეტიებით ამტკიცებს დავითის, რომლებითაც უსახელო მესტორი ე აკვიწებს დავითის ფინაიურსა და სულიერ თვისებებს, ზნეობრივ იდეალებს თავის საისტორიო თხზულებაში.

ეს გარეგარ საფუძველს მართლაც იძლევა არსენ ბერის აღიარებისათვის დავითის ისტორიკოსად.

ეს ასეა, მაგრამ არსენ ბერი საღირის მის ცნობა დავით ადამიანების ისტორიკოსად მანც ვარაუდის დონეზე რჩება.

დავით ადამიანების ისტორიკოსის

ვინაობის შესახებ გარკვეული მოსაზრებები აქვთ გამოთქმული – მკვლევარებს ა. ბოგვერაძესა და ვ. ოდიშელს. მათ მოაქვთ საგულისხმო დასაბუთებანი ს. კაკაბაძისა და კ. კეკელიძის მოსაზრებათა განსამტკიცებლად იმის თაობაზე, რომ დავით ადამიანების ისტორიკოსის არის არსენ ბერი, მაგრამ აქაც დაშვებულია ვარაუდი. ასე რომ, სხვა ახალი მოსაზრებით მისი გადაჭრით აღიარება და საბოლოოდ მიღება, ალბათ, შემდგომი გამოკვლევებისა და ახალი საბუთების შემწვობით თუ იქნება შესაძლებელი. ამ მოსაზრების ავტორი, როგორც ვერცხვეთი, დავითის ისტორიკოსის ავტორობის დადგენის საქმეში არც ერთ მხარეს არ ემხრობა.

ივ. ლოლაშვილი უარყოფს არსენ ბერის ავტორობას და თვლის, რომ “ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა” ავტორი იოანე ჭიჭიშვილია.

ეს მოსაზრება გააყრდნობა კ. გრიგოლიამ. იგი მიემხრო იმ მკვლევარებს, რომელთაც დავით ადამიანების ისტორიკოსად არსენ ბერი მიიჩნია.

დავით ადამიანების ისტორიკოსის დასახათებას ცალკეულ შრომებში გვთავაზობენ უახლესი პერიოდის მკვლევარები: რ. მეტრეველი, ვ. ლევიანი, ა. ბაქრაძე, მ. შანიძე. ისინი უპირველესად აღნიშნავენ, რომ თხზულების მიხედვით, მისი ავტორი ფართო განათლებისა არის, მაგრამ არას ამბობენ ავტორის ვინაობის შესახებ.

მ. შანიძე თავის გამოკვლევაში დავითის ისტორიკოსის ვინაობის საკითხს განიხილავს, მაგრამ არც უყურადღებოდ ტოვებს და ავითარებს იმ თვალსაზრისს, რომ “ცხოვრება მეფეთ-მეფის დავითისის” დაწერილია მწიგნობრის – სასულიერო პირის მიერ.

ჩვენი აზრით, ბერი და მონაზონი არსენი არაა დავით ადამიანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღმწერი. უბრალოდ იმ მოტივით, რომ იგი თავისი მდგომარეობით ვერასცხვინ ვერ იქნებოდა ვეღვან და ყოველთვის მსლებელი დავითისა. ერთი კია დავით ადამიანების ისტორიკოსიც ისეთი მოგონებებით და უპირველესი ვინმე ყოფილა, საკუთარი სახელი და გვარი საფიქრებელი შეინახა, რითაც მკვლევარებს საშუალოდ საფიქრალი, საძიებელი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავსატეხი გაუჩინა.

დავითის დიდი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას მიუქცევდა იმ გარემოებას, რომ ძველი საისტორიო თხზულების განხილვის დროს მკვლევართ მარტო ავტორის თანამედროვეობა კი არ უნდა ჰქონდეთ გათვალისწინებული, არამედ მისი პიროვნება, განათლება, აზროვნება და მედასეობა, მისი წყაროების თვისება, ამასთან ფაქტობრივი ერილის წერის წესი და მეთოდები. ქვემოთ იგი აკონკრეტებს თავის ამ დებულებას და აღნიშნავს, რომ ქრონოლოგიური განხილვა მხოლოდ თანამედროვეობის მხრივ მეტად მარტივი საშუალებაა, იმით, რომ მატარებელი ფაქტობრივი შეიძლება თანამედროვე იყოს, მაგრამ თუ ამასთანავე მოთხრობილის თანამედროვე არ არის, ან თუ, მისი მოამბე სარწმუნო თანამედროვე და თვითმხილველი არ იყო, მის მოთხრობას დიდი ფასი და მნიშვნელობა არა აქვს.

დავით ადამიანების ისტორიკოსის მოთხრობას შეუდარებლად დიდი ფასი, წონა და მნიშვნელობა სწორედ იმის გამო აქვს, რომ მისი ავტორი “სარწმუნო თანამედროვეური და თვითმხილველი” მოამბეა. დავითის, თამარის ორი ისტორიკოსი ბრწყინვალე პლეადას ქმნიან. ამ პლეადის ერთ-ერთი დირსული წარმომადგენელია დავითის ისტორიკოსი. საგულისხმო ისიც, რომ ისტორიკოსთა ეს ჯგუფი ცარიელ ხელისუფლებზე არ აღმოცენებულა, მათ სახელგანთქანი წანამორბედი ჰყავდათ “მატიანე ქართლისაის” უცნობი ავტორის სახით.

დავითის ისტორიკოსის თხზულებას ჰყავს მთავარი პერსონაჟი – დავით ადამიანებელი. იგია ქების ობიექტი, იგია მოქცეული თხზულებაში აღწერილი მოქმედების ობიექტი. ურყევია ის დებულება, რომელსაც აყენებს მ. შანიძე, რომ დავითის ისტორიკოსის ნაშრომი თავისი კომპოზიციითა და სტილით უფრო სახობლო თხზულებაა, ვიდრე ისტორიულ პლანში შესატანად დაწერილი მშრალი ქრონიკა.

ეს დებულება იმასაც ამბობს, რომ მას შემოქმედებული აქვს ამბის გადმოცემის თავის თავისთვის მყოფი, თანამედროვე ტერმინოლოგიას თუ ვინმართ, არის რეალისტური, არაა მოგონილი, შეთხზული, თვალთ უნახავი და ყურით მოუსმენელი ამბავი. დავითის ისტორიკოსის სიძლიერე იმაში გამოიხატება, რომ რასაც გვიყვება, იმისი მონაწილე და მხილველია. მაგრამ არა უბრალო მონაწილე და მხილველი, არამედ განცდილი, ემოციებით, შთაბეჭდილებებით დატვირთული. ამბის გადმოცემისთვის, რათა იგი საინტერესო გახდეს, ხელმძღვანელობს პრინციპები: “გაძელი სიტყვა მოკლედ ითქვას”. მიუხედავად იმისა, ამბობს ისტორიკოსი, დავითმა ისეთი და იმდენი რამ გააკეთა, ვერცხვეთ, მიუხედავად იმისა, რომ დადგინდა და გამოიქვეყნა ენა ენა კი ვერ შეძლებს ყოველთვის ზედმიწევნით გადმოცემას, მე მხოლოდ ცოტა რაიმეს თუ მოგიხსნებთ მის საქმიანებას: “მრავლისაგან მცირედითა – მეგულეების თქუად”. დასტურად ამისა განაგრძობს: “სამეფოთა და სამთავროთა დიდი საქმენი დავითისა ძალიან ცოტა მოგიხსნათ: “დიდთა მათ და მრავალთა სამეფოთა და სამთავროთა მოთხრობანი და საქმენი, რომელნი მან ქმნა და აღასრულა, რომელნი ჩუენ მცირედითა და ყოველად ენითა სიტყვა წარმოგვაჩინა”.

თავის ამგვარი განცხადებით, ისტორიკოსი მეთხველში ღრმად ნერვავს იმის შეგნებას, თუ რა დიდი პიროვნება იყო დავით ადამიანებელი. კიდევ ერთი საინტერესო მწერალური თვისებების მქონე ჩვენი მემკვიდრე: მისი რწმენით, რასაც იგი თავის თხზულებაში პრაქტიკულად ატარებს, ამბავი გადმოცემული უნდა იქნეს მჭკრემტყველურად, ვეროვნად და მოსაწონად, ესა თუ ის პირი, ვინც ქებას იმსახურებს, ავტორისაგან შეპუბულები რომ იქნეს: პირველ ყოვლისა, საჭიროა, “რიტორიკის ხელსაწყოებს”. და მეორე “ნივთი საქმიანი, ანუ პიროვნების ნაღვანი, ნამოქმედარი, ნამაგარი, სინამდვილის ამ ორი მხარის ერთიანობა ქმნის ქების ობიექტის რეალურ სურათს, ეპოქის სულის”.

დავითის ისტორიკოსი პოლიტიკური-ისტორიული მიმართულების ქართველ ისტორიკოსთა ჯგუფს (ქართლის მატანის ავტორი, თამარ მეფის ისტორიკოსები) ეკუთვნის. ამჟამად მისი მოღვაწეობაც გამოირჩევა ერთმეფობის იდეის ქადაგებითა და ისტორიის გამოყენებით პრაქტიკულ-პოლიტიკური მიზნებისათვის. მისი თხზულება თავიდან ბოლომდე მხოლოდ ამ სულისკვეთებითაა გაუფლავებული.

როგორც ზემოთ ითქვა, დავითის ისტორიკოსის ვინაობა უცნობია. მის შესახებ თუ რამ ვიცით, მხოლოდ მისივე თხზულების წყალობით, როგორც ბევრ შემთხვევაში ხდება ხოლმე წინა ეპოქის გამოჩენილი მოღვაწეთა შესწავლის დროს. იგი ყოფილა მეფის თანამედროვე მისი მსლებელი და თანამოაზრე, ამასვე პასუხს იძლევა მისი თხზულება, როდესაც იგი აღწერს თურქთაგან კახეთის აოხრებას, ამბობს;

“ესე ყოველი მოიწია და თუალითა ჩვენითა ვინაობით”. მას დაწერილებით აქვს აღწერილი დავით ადამიანების ჩვეულებანი ნადირობის დროს. ისტორიკოსი თან ხლებდა მეფეს და აღფრთოვანებით ლაპარაკობს იმაზე, რომ ამ საქმეში მას სხვა ვერავინ “შეესწრაფიდა, ვითარცა გვიხილავს ჩუენ”. დავითის დღებურთავანი პიროვნების დახასიათების ჩვენთვის უცნობი ისტორიკოსი აღნიშნავს: “აპა სახე, ყოველად გამოსახველი სიტყვით საქმეთა თვალთა ჩუენთა ხილულთა”-ო. და კიდევ ერთი: როცა მემკვიდრე მოგვითხრობს დავითის დიდ შემწვარებლობაზე უბადრუკთა, ტყვეთა და ბერ-მონაზონთა მიმართ. იგი მრავალი ასეთი საქმის მოწმედ ასახელებს თავს: “მრავალ გზის გვიხილავს იგი დამატებულად დაწუთა მისითა”. ამასთან ერთად, დავითის ისტორიკოსის სასახლეში მეტად განმარტებული კაცია. იგი ძალზე ახლოს დგას მეფის პირად საქმიანობასთან. თუმცა ეს ახლო ურთიერთობა მკვეთრად გამოიხატება: ისტორიკოსი მეფის აღტაცებული თავიანთმცემელია და არა

მეფე ფარნავაზი

“შენ ჰე, ფარნავაზ ჰქმენ ერთ-მთავრობა, შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი, შენ დაუტყვიდრე ერსა ერთობა და ერთობისა წესი და ძალი”.

იწურებოდა IV საუკუნე ქრისტეს შობამდე. მხოლოდ 27 წლისა იყო ფარნავაზი, თუმცა ბრძნულად განაგებდა ქართულ სახელმწიფოს.

იგი შინა სახელმწიფოებრივი რეფორმების გატარებას გამოეხილა პირველივე წლებიდან შეუდგა.

განახორციელა ადმინისტრაციული რეფორმები, საქართველო დაპყრო საერისთავოებად.

შემდეგ კი ხელი მიჰყო ადამიანების მშობლივს საქმიანობას, გაამშვიდურა და ქვის ზღუდე-გალავნით გაამაგრა სატახტო ქალაქი მცხეთა.

აღადგინა დაზარალებული ქალაქები და იწყო ახალთა შენება.

IV-III საუკუნის მიჯნაზე ყველაზე დიდი კულტურული ღონისძიება განახორციელა ფარნავაზმა. “განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებდა სხვა ენა ქართლისა შინა თვინიერ ქართულისა, და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული”.

ეს ყველაფერი ფარნავაზმა ქართულ ანბანზე დაფუძნებით გააკეთა.

ჯერ-ჯერობით მხოლოდ ეს აღარ ვიცით დამატებით: ფარნავაზმა ქართული ანბანი, ვითარცა ქართული მწიგნობრობის უცვლელი საძირკველი, ადრეული საუკუნეებიდან აიღო (რაც უფრო სარწმუნოა), თუ თვითონ მის დროს და მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა... წერს ბატონი ლევან სახიციძე “წიგნი მოწამეთაში”.

ასე თუ ისე, ყოველივე ეს ფარნავაზ მეფის მიერ ხორციელდა ქართული უძინებელი მოვლენა გახლდათ.

17 წლისა გამეფდა ფარნავაზი. 65 წელიწადი იმეფა, მიიცივალა ღრმა მოხუცი 92 წლისა.

ამ დღეებში ეკლესია მეფე ფარნავაზს იხსენებს.

ლევან ბაბუნაძე



პინაოზისათვის

სწორი ამხანაგი.

საფუძვლიანად იცნობს ისტორიას. მოკრძალებით იხსენებს ალექსანდრე მაკედონელს. მაკედონელი მისთვის ჭეშმარიტი მხედრობისა და ხელშეწყობის ეტილონი. ხშირად ადარებს მას დავით აღმაშენებელს და "ახალ ალექსანდრეს" ან კიდევ "მეორე ალექსანდრეს" უწოდებს. ქართველთა მეფე უფრო დიდია, ვიდრე ელიონა (ბრძენია) მხედრობით უფროსი: "არა საქმითა, არცა განზრახვითა, არცა სიმბინთა უძვირე, თვით მათ საქმეთა შინა, რომელთა უძლეთ ითქმის ალექსანდრე, არა უმდაბლეს, არამედ, მრავალთა უმაღლეს მტინორის ესე". ისტორიკოსის მიერ ამ, ცოტა არ იყოს, განვითარებულ გამოთქმაში აშკარად ჩანს მოწინავე ქართული საზოგადოების მისწრაფება – არა მარტო მტოქეობა გაუწიოს ბერძენებს, არამედ მათზე მაღლაც კი დადგინოს. ასეთი მისწრაფება გამოუმუშავებელი იქნა ერთგული თვითშეფასებისა და მშობელი ხალხის ღირსების ამაღლების სურვილით. ასე რომ, ყველა შემთხვევაში ავტორის მიერ ისტორიული ფაქტი და მოვლენა უადრესი გონებამახვილობით გამოყენებულია პრაქტიკულ-პოლიტიკური მიზნებისთვის. მემატიანე, ერთი მხრივ, მისგან ჭეშმარიტად ნახულსა და განცდილ ისტორიულ ამბებს თუ გადმოგვცემს, მეორე მხრივ, ამ ამბებით დავითის პიროვნებას ხატავს. სხვანაირად რომ ვთქვათ, მისაზრობი მასალა გადმოცემულია არა როგორც მხოლოდ მასალა მოსასმენი, არამედ მას ეძლევა მეკეთრი დახასიათება მისთვის, მნიშვნელობისა და შედეგების გაანალიზებით. ყველაფერი ეს მიმართება იქითგან, ამაღლდეს ქართული სახელმწიფოს გაძლიერების წინამძღოლები, ქვეყნის მეთაურები.

დავითის ისტორიკოსი თავის თავში ტრადიციულ მემატიანობასთან ერთად აერთიანებს ფილოსოფიური და მხატვრული აზროვნების დიდ უნარსაც. მისი სახით ღირსეულ მეფეს ღირსეული შემფასებელი გამოუჩნდა. მას სურდა, თავის სათავეებზე გვირგვინს ალექსანდრე მაკედონელზე მეტად გაეკეთებინა ქვეყნის გაფართოების საქმეში. ამასვე სინანულით ამბობს იგი: "ქართველთა ოდენ ალექსანდრე იქმნოდა კარგსა და თუძკა დავითის სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და რომთა ძალი ანუ სხვათა დიდთა სამეფოთა, მაშინცა გენახსნეს ნაქმნარნი მისნი, უადრესი სხვათა ქებულთანი". სამაგიეროდ მან წარმოაჩინა აღმაშენებლის მოღვაწეობის მეორე მხარე – ქრისტიანობისათვის თავდადება, რაშიც იგი კონსტანტინე დიდს მიახლოებს და საბოლოო აზრით ალექსანდრე მაკედონელზე აღმაშენებელი წარმოსახვავა. ეს ასეა, მაგრამ ჩვენმა ნიჭიერმა ისტორიკოსმა ვერ შეინიშნა, თუ არ შეინიშნა, როგორი უპირატესობა გააჩნდა დავით აღმაშენებელს საგარეო ვითარების მხრივ წინამორბედ ქართველ მეფეებთან შედარებით.

1027 წელს დავითმა თურქ სელჩუკებს ხარკი შეუწყვიტა. სხვა ვითარებაში ეს აქტი თურქ დამპყრობლებთან ომის დაწყებას მოასწავებდა, მაგრამ დიდმა სულიანმა ეს კადნიერი გამოწვევა უპასუხოდ დატოვა ორი მიზეზით: ჯერ ერთი, თურქ სელჩუკთა სახელმწიფო ამჯერად დაუსუსტებული იყო და, მეორეც, წინა აზრში თავი იმინა ახალმა პოლიტიკურმა ფაქტორმა ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობის სახით, რამაც ისტორიული სიტუაცია საქართველოს სასარგებლოდ შეცვალა. დავითის მემატიანეს ეს გარემოება შემჩნეული აქვს, მაგრამ ფართო მასშტაბს არ აძლევს და მხოლოდ გავრით აღნიშნავს: "ამას ფაშა გამოვიდეს ფრანგი, ადიღეს იერუსალემი და ანტიოქია".

როგორც პირველ, ისე მეორე მაგალითში ისტორიკოსის პოზიცია მჭიდროდ ფაქტობრივად უწყობდა, რომ ამ მოვლენათა მაღალ რეგისტრაციამ აყვანა მისი სათავეებზე მთავარი გმირის – დავითის სიმაღლეს არაფერს შემატებდა. დავითის ისტორიკოსი თავის სურათურ ხელშეწყობაში ცხებებითა და სურათებით აზროვნება ერთმანეთს ერწყმის. ამიტომ მის თხზულებას არა მარტო ისტორიული, არამედ ფრთხილ მხატვრული ღირებულებებიც გააჩნია, როგორც "მშვენიერი მხატვრული, კეთილმოხილური ერთი დაწერილი ნაწარმოებს".

თხზულების მაღალმხატვრულ ღირსებას აღნიშნავს ყველა მკვლევარი, ვინც კი ამ ნაწარმოებს დღემდე შეხებია. დავითის ისტორიკოსის პიროვნების სრული წარმოდგენისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თვით საქართველოს მეფის მიერ შექმნილ ორიგინალურ ნაწარმოებს – პოეტურ აღსარებას, "გალობანი სინანულისანი", რომელიც დავითს თავისი სიცოცხლის მიმწეხრობის შეუქმნია.

"გალობანში" დავითი ასახელებს, რომ რაღაც "სიჭაბუკის" ცოდვა ჰქონია ჩადენილი და თავს ადარებს უმძიმესი ცოდვის ჩამდენთ. იგი ამბობს: "მებრძოლ ვექმენ ყოველთა წესთან სჯულისათა მიერ ხენებთა ვკმძლარეუ საწოლსა ჩემსა, და სახეთა მიერ ბოროტთა მიცემითა ვაცოდვე ერთი ჩემი, ვითარცა იგი მეფეთა მისთა ისრაელთა". ამ წინადადებიდან კონკრეტულად ის ჩანს, რომ მეფეს რაღაც უწყობა ჩაუდენია ქორწინებაში. ივ. ჯავახიშვილის აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს დავით აღმაშენებლის ის "ბრალნი სიყმობისა" და "სიჭაბუკისა" მეფე პირველ ცოლს რომ გაეყარა და მეორე შეირთო. ნ. ბერძენიშვილის მიხედვით, ის რაღაც ცოდვა, დავითს ფაშაილობაში რომ ჩაუდენია, რომელსაც თავის "გალობანი სინანულისანიში" იხსენებს, შეიძლება, ვიფიქროთ, გიორგი მეფეზე ხმარებული მძლავრობა იყოს. სომეხი და არაბი ისტორიკოსები (მათი ურპაველი, იბნ-ალ-ასინი, ალ. ჯავაში) აღნიშნავენ, რაღაც ცოდვას, რომელიც დავითს თბილისის აღებისას ჩაუდენია. ეს საკითხი დღემდეც ალბათობაზე დიდია.

დავითის ისტორიკოსს თავისი შრომის მეორე ნაწილში მოთხრობილი აქვს, თუ როგორ უყვარდა დავით აღმაშენებელს მწერლობა, წიგნების კითხვა, ნადირობა და სხვადასხვა საგნებზე გატაცებით სჯა-ბაასი, მაგრამ თავისი "გალობანი სინანულისანი" ნახსენები არა აქვს, არც გვირგვინისანი მეფის რაიმე ცოდვას ასახელებს და არა თუ ასახელებს, არც იგულისხმება სადმე ქვესვეტში.

უდავოა ის ფაქტი, რომ "ცხოვრებაი მეფეთ-მეფისა დავითისის" ავტორი თხზულებაში აღწერილი ამბების თვითმხილველი და ამასთანავე საქართველოს მეფეთა დაახლოებული კაცია. მემატიანე დავით აღმაშენებელს ბევრჯერ ჰხვდება სამეფო მოგზაურობისას. ხშირად ნადირობაშიც მონაწილეობდა მეფის თანხლებად. ისტორიკოსს, ჩანს, რომ აღმაშენებლის წიგნისაკავშირე შესვლის უფლება ჰქონია, იგი მეფის საყვარელ წიგნებს ნახულობდა კიდევ და მისი შენიშვნების წაკითხვას ბედავდა ხოლმე. ამ ფაქტებიდან ის აუცილებელი დასკვნა გამოდის, რომ ისტორიკოსი ძალიან ახლოს და საფუძვლიანად იცნობდა "გალობანი სინანულისანს" და მასში – ნაქსოვილ დავითის აღსარებას. მაგრამ თავის "ცხოვრებაში" არც "გალობანს" ასახელებს და არც დავითის რაიმე "ცოდვებს" ასხენებს, ის ისე დიდსულოვანია.

რატომ უნდა მომხდარიყო ასე?

კ. კეკელიძის აზრით, დავითის "გალობანი სინანულისანი" საინტერესოა აგრეთვე როგორც მანქნებელი მისი ავტორის ცხოვრების ზოგიერთი ინტიმური მხარისა. არ ვიცით, სხვა როგორ იფიქრებს, მაგრამ ჩვენი რწმენით, რახან საკითხი ინტიმური მხარისა, უფაქტურად ადამიანურ გრძობას ეხებოდა, უთუოდ ამის გამო აურიდა ისტორიკოსი მის შეტანას თხზულებაში. შეგნებულად არ შეეხო მეფის სულიერი სამყაროს სიმებს. ამით მან დაიცვა დისტიმაცია მეფესა და ყმას შორის. ეს თვისება დავითის ისტორიკოსის მდიდარი სულისა და მაღალი მორალის მანიჭებელია.

მოგვიხდება დამოწმება იმ აზრისა, რომ დავითის ისტორიკოსის რიტორული მჭერმჭეველება ექნება. ვიტყვით, რომ ექნება კი არა, ამ მხრივ თავი მოსაწონებელი აქვს! აღსანიშნავია, რომ რიტორიული კითხვები და მიმართვები ძალიან ხშირად იხმარებოდა მეფის ბერძენი ორატორების ნაწარმოებებში.

დავითის ისტორიკოსის თხზულებაში გვაქვს რიტორიული შეკითხვის, რიტორიული შემახებისა და რიტორიული მიმართვის არაერთი საუკეთესო მაგალითი. ერთგან, სადაც ავტორი მოგვითხრობს დიდგორზე ქართველი ლაშქრის გამარჯვების შედეგად მოპოვებულ აურაც-

ხელ სიმდიდრეზე, რიტორიული შემახების ასეთ მაგალითს იძლევა: "ხოლო სპანი ჩუენნი და უფროსად ყოველი სამეფო თუ ვითარ – ესე აღივსო ოქროთა და ვერცხლითა. რაოდენგან ქართაგან და ბელანგან დაიბით აღწერად!". არანაკლებ ამაღლებული ტონით ლაპარაკობს ისტორიკოსი დავით მეფის სამხედრო ხელნაწილების დახასიათებისას: "ამათ ყოველთათვის არა ჩუენდა, არამედ ვგონებ, ვითარემ ყოველისა სოფლისა ბრძენთ ვერ შესაძლებელ არს მოთხრობად ზედა მიწვენი ყოველსავე".

თხზულების მცირეფასი საძკაულებია უთუოდ ისეთი რიტორიული შეკითხვები, რომლებიც პასუხს არ მოთხოვენ, ისეთებიც, საჭირო რომ არ არის პასუხის გაცემა, ან ისეთებიც, სადაც პასუხს თვითონ ავტორი იძლევა.

მაგალითად: ისტორიკოსის მსჯელობას რა დავით აღმაშენებლის მეფობის შეფასებაზე, აწეული ტონით კითხულობს: "ვითარ ვინ აღრაცხნეს, რაოდენნი საქმენი თხოვრებანი მეფობასა, რაოდენნი მართებანი და განსაკებენი? და კითხვას თვითონვე პასუხობს: "ვინ აღმოწყენს სიტყვითა უფსურელისაგან სამეფოთა საქმეთისა, რომელთა შინა ვერვინ ძუელთა და ახალთა მეფეთაგანი ემსგავსა".

ისტორიკოსი ერთ ადგილას მტკიცებითი კილოთი საოცრად ამხანაღვლებს რადლებას, როცა მოგვიხსრობს დავით აღმაშენებლის მიერ გლახაკთა და ქვრივ-ობოლთა დახმარების გაწევაზე. მიაჩნია, რომ ჩვეულებრივი ადამიანისათვის მიუწვდომელია გაწეულ სიყვითუნე ფასის დაღება: "კულად დღითი დღეთა წარსაგებულთა, რომელთა თვისთა ხელითა მიცემდის ფარულად, ვინ აღარაცხნის თვინიერ მამისა ზეცათისა, რომელი მიაგებს ცხადად". ერთგან ისტორიკოსი მწვავედ ეკამათება დავითის მოწინააღმდეგეთა დასს ვიწყათა გადმოყვანის თაობაზე, არღვევს მათ აზრს და უმტკიცებს, რომ თუ არა ამ გზით, სხვაგვარად შეუძლებელი გახდებოდა ქვეყნის ესოდენი გამარჯვება: "რათამცა ექმნეს ესოდენი ძლევაანი, ანუ რათამცა დაეხუწეს ქსომნი დიდნი სამეფონი? ნუუკუე ძილითა ანუ ადგილთამწუანვილივანთა ზედა მოსმურობითა და განცხრობითა მანქნებელთა საქმეთა შედგომითა?"

ასე ჩამაფიქრებელი და შთამაგონებელია ისტორიკოსის რიტორიული შეკითხვა დავით მეფის ამავე ღვაწლის შეფასებისას: "ვინ აღრაცხნეს ტყუენი, რომელი მან განათვისუფლნის და რომელი უკუოხისნის თვისთა ვიწყათაგან ფასითა, ვინ ჯერონად წარმოაჩინეს პატვივის – პერობანი მონაწონთანი, სიმაღლითა შემთხვევანი და მოვითხვანი, და სიყვარულით შეწმენარებანი მათნი, თითოეულისა ნიჭნი და სახმარნი, რომლითა უზრუნველ – ვენის ყოველთა საჭიროთაგან".

მოწინააღმდეგენი ("მბრალბელები") მეფეს საყვედურობდნენ მეგრძობას: უნდა ვინმეს შეეყვარებ, განადიდებ, ვინმეს დაუმსახურებლად მოიძულე და დაამცირებ. ისტორიკოსი ამასვე აწეული ტონითა და მტკიცებითი კილოთი აღმოთქვით პირდაპირ თავს ესმის მოწინააღმდეგეთა და ამბობს: "ძვე უსამართლოებასა, ჰოი უგუნურობასა! ამისთვის ებრალე, რამეთუ კაცი მიწისგან ღმერთსა მიემსგავსა, რომლითაცა საქმითა? ვინ იხილა ესე საუკუნითგან, ჰოი კაცი? ამისთვის რად არა ღმერთსაცა აბრალე, უგრური ამასვე დემეთ მოქმედსა?"

ჩვენს უცნობ ისტორიკოსს დავით აღმაშენებლის ღვაწლის შეფასებისას მითხველის ემოციური შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით მოთხრობილი აქვს საამოდ შერჩეული რიტორიული შეკითხვა: "ვინ ესრეთ მიიღო ერთიცა საინოებათაგანი, ვითარ მან შეკრიბა ყოველი? ვინ ყოველთაგან ერთი ვითარ მან სრულებით თითოეული, რომელთა ყოველთათვის შეუძლებელ არს დაკვირება ოდენ, არა თუ მიბაძვება, რომლითა სრულ იქმნან იგი ყოველთა შინა?"

მოტანილი მაგალითები, დასტურია იმისა, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ნიჭით უხვად დაჯილდოებული მწერალია.

ჩვენი სამზერიდან ასე გამოიყურება დავითის დიდბუნოვანი, მაგრამ გვარ-სახელით დღემდე უცნობი მემატიანე.

კალენიანი თემურაზი
აკაღმეიანი დიმიტრი
პრეშხელი

გუზილოზით!

სილოვან ზამთარაძე, ბუკულა შენგელია, მაცვალა გოგავა, მაგული თავაძე... სამტრედიის სტამბის ყოფილი, დამსახურებული თანამშრომლები იყვნენ, რომლებიც საოცარი სიყვარულითა და რულეებით ემსახურებოდნენ შობილი-ურ რაიონს. ბევრი თბილი სიტყვა შეიძლება თითოეულზე ითქვას.

ამიერიდან კიდევ ერთი, პოლიგრაფისტთა უფროსი თაობის ღირსეული წარმომადგენელი შეუერთდა მათ რიგებს.

23 იანვარს სამწუხარო ამბავი შეეიტყვეთ რედაქციამ.

ქალბატონი ჯანიკო ბიბილეიშვილი გარდაიცვალა – ჩვენი ჯანიკო დედა. მუდამ მომდიმარი, ალერსიანი, ფუნქციონირ მონუსხვარი, საოცარი პასუხისმგებლობით რომ ასრულებდა საქმიან რთულ, თუძკა საპატიო საქმეს.

ქალბატონი ჯანიკო სამტრედიის სტამბაში მამინ მუშაობდა, როცა გაზეთი კვირაში სამჯერ 11 000-ზე მეტი ტირაჟით გამოდიოდა.

ერთიან ოჯახს წარმოადგენდა მამინ რედაქცია და სტამბა.

წონადია წვლილი კოლეგებთან ერთად რომ შექმონდა ქალბატონ ჯანიკოს გაზეთის პოლიგრაფიული სრულყოფის საქმეში. მესხიერებაში კადრებით გაირბინეს რედაქცია-სტამბის ერთობლივი ძალებით მოწყობილ ექსპერსიებზე გატარებულმა დღეებმა, სამოქალაქო ომის პერიოდში ღენის ლოდინში ლინოტიპთან ლამის გათენებულმა ღამებმა, ტკბილ-მწარე მოგონებებმა.


30 წელზე მეტხანს ემსახურა ჯანიკო ბიბილეიშვილი საყვარელ საქმეს, მანამ, ვიდრე დამსახურებულ პენსიაზე არ გავიდა.

ნათელში დაამკვიდრებს არსთა გამრიგე ღვაწლმოსილი, ღირსეული ქალბატონის სპეტაკ სულს.

ლევან გაბუნია


გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პოლიგრაფისტი, ქალბატონი **ჯანიკო ბიბილეიშვილი-კახაბაძე** და თანაუგრძობის განსვენებულის ოჯახს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მუნიციპალიტეტის გამგეობა თანაუგრძობის იმერეთის გუბერნატორს, ბატონ გივი ჭიჭინაძეს დედის, ქალბატონი **თინო კალაძე-ჭიჭინაძის** გარდაცვალების გამო.



გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძობის იმერეთის მხარის გუბერნატორს, ბატონ გივი ჭიჭინაძეს დედის, ქალბატონი **თინო კალაძე-ჭიჭინაძის** გარდაცვალების გამო.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მუნიციპალიტეტის გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მსახიობი **კალაძე ტორონჯაძე** და თანაუგრძობის განსვენებულის ოჯახს.



გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მსახიობი, ღირსეული სამტრედიელი, ბატონი **კალაძე ტორონჯაძე** და თანაუგრძობის განსვენებულის ოჯახს.

ბეჟან გოგავა და დემურ ტრაპაძე თანაუგრძობენ ტორონჯაძეების ოჯახს ბატონი **კალაძის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა მტატგარემო კორესპონდენტი, უზუცესთა ანსამბლ "სანაგარდოს" წევრი, ბატონი **თინო ბალოჯანი** და თანაუგრძობის განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძობენ გივა გელოვანს ბიძის, ბატონი **თინო ბალოჯანის** გარდაცვალების გამო.

თამარო არაშვილის განცხადება
თამარო, შენ გამოჩენილი და ღირსეული ქალბატონი იყავი, საამაყო მეგობარი, საუკეთესო დედა და მეუღლე. შენი დაკარგვით გამოწვეულ უდიდეს ტკივილს წლები ვერ აფერმერთალებს. გვაკლიხარ, გვენატრები, შენს კეთილ სულზე ვლოცულობთ, ჩვენო სათნო მეგობარი, თამარობას და შეუსრულებელ 63 წელს გილოცავთ! ნათელი დაადგეს შენს ღამაზე ხსოვნას!
უახლოესი მშობრები მელა ჭკალა და თინოზი ჭკაპანიანი

მწუხარ ხუჭუას მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **როზა კახაბაძე-ხუჭუა** და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი მეგობრები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **ჯამალ ფოქვაძე** და თანაუგრძობენ ოჯახს.



თავისუფალი სტილით მოჭიდდა ივერი ჯულაყიძე საქართველოს ჩემპიონატი

8-10 იანვარს, რაჭაში, ქალაქ ამბროლაურში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალი სტილის ჭიდაობაში 23 წლამდე ახალგაზრდებს შორის. ამ ჩემპიონატში სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბ "ფალავანის" (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) სპორტსმენებმა მიიღეს მონაწილეობა. ჩემპიონატი წარმატებული აღმოჩნდა ივერი ჯულაყიძისათვის, რომლის სპორტული მიღწევების შესახებ "სამტრედიის მაგნეს" თავისი მკითხველებისათვის არაერთგზის უცნობებია. ივერმა 65 კილოგრამ წონით კატეგორიაში 5 ორთაბრძოლა გამართა და ხუთივე დამაჯერებლად მოიგო. (მწვრთნელები ვეფხია და ლაშა სტურუები.)

ამ გამარჯვებით ივერმა მოიპოვა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება, რომელიც მარტში უნგრეთში გაიმართება. აღსანიშნავია ასევე, რომ ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზა შმაგი თოდუამ. (მწვრთნელები ბიძინა მელაშვილი და ზაზა არქანი). მან ოთხი შეხვედრა მოიგო და საბოლოოდ მეორე ადგილს დასჯერდა. უულოცავთ საჭიდაო კლუბ "ფალავანს" და სპორტსმენებს ამ წარმატებას და სამომავლოდ არაერთ ღირსეულ გამარჯვებას ვუსურვებთ!


ნათია ნაცვლიშვილი

უიღლო გადარჩენილი

მასაბუმი ხოსონო - ასე ერქვა ერთადერთ იაპონელ მგზავრს, რომელიც "ტიტანის" ჩაძირვის დროს გადარჩა. ის მუშაობდა იაპონიის ტრანსპორტის სამინისტროში და ბრიტანეთში ყოფნის დროს როგორც ტურისტად აღმოჩნდა გემზე.

საქმე იმაშია, რომ ეს იღბლიანი მასაბუმი როდესაც დაბრუნდა სამშობლოში, იაპონელებმა მას ყველაზე მშინარა ადამიანი უწოდეს...

ისინი თვლიდნენ, რომ მან გემზე ორ სამურაის უღალატა და თავისი თავი გადაიჩინა. ხალხი თვლიდა, რომ ის გემთან ერთად უნდა ჩაძირულიყო. მასაბუმი ხოსონომ დარჩენილი ცხოვრება სირცხვილში გაატარა და მისი შთამომავლობაც დიდი ხნის მანძილზე სირცხვილში ცხოვრობდა.



გულოცავთ!

გალერანა ფოცხვირას!

დაბადების დღეს გილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში. უფალმა გაგაძლიერო!

კახიძისგან: "საბრალოს მაგნე"

ბატონ ვალერანა ფოცხვირას!

გილოცავთ დაბადების დღეს, იხარეთ, იღვებოდეთ, გფარავდეთ უფალი!

მშენებლის რაინული კავშირი



ასე უთქვამთ ქართულ ღვინოზე

ღვინო საქართველოში ბევრია და კარგად აყენებენ ქვეყრებში.

ქსენოფონტე

ქართლში და კახეთში ვენახები ბევრია, იზრდება და ისხვლება.

სტრაბონი

მსოფლიოში არ არსებობს მეორე მხარე, სადაც სვამდნენ ისე საუცხოო ღვინოს, როგორც საქართველოში.

შარდენი

ღმერთმა ქართველ მსმელებს კახური ღვინო მისცა, ესე იგი საუცხოო ღვინო.

ალექსანდრე დიუმა (მამა)

ღვინოა ისე არსებობს მხარე, სადაც მევენახეობა განვითარებული უძველესი დროიდან, ეს საქართველოა.

პიერ ლერუა

ქართული ღვინოები მზიანია, მარღვებში ადამიანს ცეცხლს წაუკიდებს.

გ. დელმანო

ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ჭავჭავაძე მისი დროის ჩინებული მეურნე იყო. სწორედ მან მოაწყო არაერთხელ ორთქლით სახდელი ქარხანა. თბილისსა და ჩრდილოეთ კავკასიაში გახსნა ქართული ღვინის სარდაფები, კახური წესით დაყენებული ღვინით რუსეთში სახელი გაუთქვა ქართულ ღვინოს. ალბათ, სწორედ სიმამრის ღვინის გემომ ათქმევინა ალექსანდრე გრიბოედოვს - კახეთის ღვინოს შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს უცხოეთის ღვინოს, შეავიწროოს და განდევნოს რუსეთის ბაზრიდან.

მრავალი საუკუნის მანძილზე ქართველმა ხალხმა რის ვაი-ვაგლახით შემოინახა ღვინის დაყენების ქართული წესი.

საქართველოა ის ქვეყანა, სადაც 500-ზე მეტი აბორიგენული ძვირფასი ვაზის ჯიშია შემონახული და გავრცელებული. აი, სწორედ ამ ცნობებსა და ფაქტობრივ მასალებს ეყრდნობდნენ გამოჩენილი სწავლულები: კოხი, შოუ, მენდელეევი, ვაგილოვი, ჯავახიშვილი და სხვები, როცა ვაზის სამშობლოდ საქართველოს მოიხსენიებდნენ.

ამდენად, საკვირველი სულაც არაა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისმა უწყებამ, "იუნესკომ" ქართული ღვინის დაყენების წესი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებათა სიაში შეიტანა, ხოლო ქართულ ქვეყრს გაეროს შტაბბინასთან მიუჩინა ადგილი.

ლევან ბაბქაძე



Advertisement for Galera Fochvira with a portrait and congratulatory text.

Advertisement for Anana Anzabashvili with a portrait and congratulatory text.

Advertisement for Zaza Khidzuri with a portrait and congratulatory text.

Advertisement for Magne magazine with contact information and logo.